გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№8 (1550) 24 — 30 მარტი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

თენგიზ ცერცვაძე: „ვაქცინაცია არ არის უსაფრთხო, მაგრამ...“

რამდენი ხნის შემდეგ უნდა აიცრას კოვიდგადატანილი ადამიანი და როდის დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას

ახალი გადანაწილება მედიაბაზარზე

რა მიზნით გაერთიანდნენ „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“

ოპოზიცია საგანგებო რეჟიმის ექსკლუზიური დეტალებით

ბაჩო დოლიძე: „15 მაისს, რუსთაველის გამზირი ხალხს ვერ დაიტევს!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რატომ უნდა აშენდეს დიდი ჰესები საქართველოში

დავით მირცხულავა: „ვერ ნახავთ მსოფლიოში ქვეყანას, რომელსაც ასეთი ჰიდრორესურსი ჰქონდეს და არ იყენებდეს!“

უკრაინაში ორი ქართველი „კანონიერი ქურდი“ დააკავეს

ქმარმა ცოლს ჯერ ძილის წამალი დაალევინა, შემდეგ კი თბილისის ზღვაში დაახრჩო

ოჯახური დრამა, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა

გახარიას „ფოკუსი“

რატომ წავიდა და რატომ ბრუნდება პოლიტიკაში — რას შეცვლის ექსპრემიერის „მეორედ მოსვლა“

პოლიციის ავტოპარკს 225 ახალი ავტომანქანა შეემატა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი გრძელდება – პოლიციის ავტოპარკს 225 ახალი ავტომობილი: „შკოდას“ მარკის, „სედანის“ ტიპის 175 ავტომობილი და „კია ნიროს“ მოდელის 50 ჰიბრიდული მანქანა შეემატა. ახალი ავტომობილებიდან, არც ერთი არ არის განკუთვნილი სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისთვის.

ავტომანქანების გადაცემის ღონისძიება თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიებას მინისტრის მოადგილეები: ვლადიმერ ბორცვაძე და გიორგი ბუთხუზი, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, ვაჟა სირაძე დაესწრნენ.

ახალი ავტომობილები გადაეცა პოლიციის დანაყოფებს თბილისსა და რეგიონებში, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. საპატრულო მანქანების ავტოპარკის განახლება ხელს შუწყობს მომხდარ დანაშაულზე პატრულ-ინსპექტორების დროულ და ეფექტიან რეაგირებას, ასევე, დანაშაულის პრევენციას.

საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების მიზანი, საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელების სამუშაო პირობების გაუმჯობესებაა. შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგულარულად აახლებს თავის ავტოპარკს. სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს საპოლიციო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება-გაუმჯობესების პროექტებს.

პოლიციამ აჭარაში ნარკორეალიზატორი დააკავა – ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული ა.ბ., დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე, განახორციელეს ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

ბათუმში, ბრალდებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 502 აბი, „მეტამფეტამინის“ შემცველი 13 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, ასევე, 849 აბი და 12 ნატეხი „მდმა“.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

შავ ზღვაში ნატო-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატოს ხომალდებმა შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩაატარეს. სწავლება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა. ერთობლივ საზღვაო მანევრებში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აილენდის კლასის ხომალდები – „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“ და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ხომალდები: REGINA MARIA (რუმინეთი), KEMALREIS (თურქეთი) და „SMELI (ბულგარეთი). წვრთნების მიზანია, საქართველოსა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება. კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში, ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის მკაფიო გზავნილია. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია.

ერთობლივი წვრთნები საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით განხორციელდა.

შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, მონაწილეობდა ღონისძიებაში – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია: სიახლეები და უახლესი მონაცემები“.

2020 წლის 23 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გენერალურმა პროკურატურამ, უზენაესმა სასამართლომ და სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი), დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად, თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პოლიტიკის დონეზე იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად, რაზეც მეტყველებს სამინისტროს მიერ განხორციელებული არაერთი აქტივობა. ალექსანდრე დარახველიძის განმარტებით, აქტიურად მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადება დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით და ამ პროცესში, უწყებას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებენ ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორები. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ სამინისტროს თანამშრომლები, ასევე, აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებშიც.

ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა ერთიანი სტატისტიკის შეგროვების შემუშავებული მოდელის მნიშვნელობაზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ წარმოებული მონაცემები, კიდევ უფრო დაზუსტდეს და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდეს. მინისტრის მოადგილემ, ასევე, ხაზი გაუსვა მემორანდუმის მონაწილე უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას და მსგავსი თანამშრომლობით მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ყველა პარტნიორ და დონორ ორგანიზაციას, რომლებთან თანამშრომლობის შედეგადაც, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია იქნა შემუშავებული.

ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა“ – ფარგლებში გაიმართა. აღნიშნული პროექტი 2018 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი მხარს უჭერს დაინტერესებულ მხარეებს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაში.

გახარიას „ფოკუსი“

რატომ წავიდა და რატომ ბრუნდება პოლიტიკაში – რას შეცვლის ექსპრემიერის „მეორედ მოსვლა“

ნინო დოლიძე

საუკუნეებია, ქრისტიანული სამყარო მეორედ მოსვლას ელოდება. ზოგს „მეორე მოსვლა“ ჩვეულებრივი ლეგენდა ჰგონია და მეტი არაფერი, მაგრამ ის, რაც რელიგიაში ვიღაცებს მითი ჰგონია, პოლიტიკაში, უფრო კონკრეტულად, ქართულ პოლიტიკაში, ხორცშესხმული რეალობაა ანუ საუბარი იმაზე გვაქვს, რომ ჩვენს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, პოლიტიკოსების წასვლა და „აღდგომა“, ბოლო დროს, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. შორს რომ არ წავიდეთ, აი, სულ რაღაც ორი დღის წინ, ექსპრემიერი გახარია „აღდგა“ (ისე, ერი ჯერ ვერ ჩამოყალიბდა, სწორი ფორმა რომელია – „აღდგა“ თუ აღსდგა“), თუმცა ვერ ვიტყვით, რომ პოლიტიკური „აღდგომების“ ფუძემდებელი გახარიაა.

ამ ტრადიციას საფუძველი – არც მეტი, არც ნაკლები – „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა, მისმა ყოფილმა თავმჯდომარემ და ყოფილმა პრემიერმა ჩაუყარა, თუმცა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას სხვა დაბრუნებებიც ახსოვს. აი, მაგალითად, ცხონებული ედუარდ შევარდნაძე, აღარავინ რომ ელოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისევ საქართველოს პირველ პირად მოგვევლინა. სხვათა შორის, მოქმედი პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილიც ამ თანამდებობაზე მეორედ დაბრუნდა. რაც შეეხება გახარიას, ჯერ არ ვიცით, მისი პოლიტიკური მომავალი როგორი იქნება, მაგრამ მოცემულობა ასეთია – პოსტიდან წასვლის შემდეგ, გახარიამ ერთთვიანი ტაიმ-აუტი აიღო. 22 მარტს კი, მოულოდნელად, მედიის წინაშე გამოჩნდა და განაცხადა, არსად მივდივარ და პოლიტიკაში ვრჩებიო.

„დაგვიანებით, მაგრამ მაინც, გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღეს, ჟურნალისტებო“, – ასე დაიწყო მედიასთან საუბარი ექსპრემიერმა და შემდეგ ის განცხადება გააკეთა, რომელსაც მთელი საქართველო თუ არა, პოლიტიკური სპექტრი მაინც ელოდა. კერძოდ, მან სიტყვა-სიტყვით თქვა:

„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვადასხვა ჭორი ვრცელდებოდა, არსად წასვლას არ ვაპირებ, უფრო მეტიც, არც პოლიტიკიდან წავალ. რეალურად, გეგმებს მივყვებით, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ უახლოეს პერიოდში, ყველაფერი დეტალურად გაგიზიაროთ და მოგიყვეთ. ყველა კითხვას პასუხი გაეცემა“.

რა გეგმას მიჰყვება ყოფილი პრემიერი? – ამას, როგორც დაგვიანონსა, უახლოეს მომავალში გავიგებთ, თუმცა მანამდე, მოდით, იმის შესახებ ვისაუბროთ, რაზეც პოლიტიკურ წრეებში საუბრობენ.

მოკლედ, დავიწყოთ იმით, რომ გადადგომისთანავე გაჩნდა ეჭვი თუ ვერსია, რომ მმართველი ძალისგან გამიჯნული გახარია, მალე დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშედ მოგვევლინებოდა ანუ საკუთარ პარტიას შექმნიდა. წეღანდელი თქმისა არ იყოს, მართალია, ჯერ პარტია არ შეუქმნია, მაგრამ ღიად და პირდაპირ თქვა, პოლიტიკაში ვრჩებიო. შესაბამისად, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ გახარიას პოლიტიკაში დარჩენა ბევრ რამეს შეცვლის. კერძოდ, ის „თავის ტკივილი“, ერთდროულად, ოპოზიციისთვისაც იქნება და ხელისუფლებისთვისაც.

რატომ გაუჩენს გახარია ორპოლუსიან ქართულ პოლიტიკას თავსატეხს? – ამ კითხვაზე სავარაუდო პასუხი ასეთია:

ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია, რომ ყოფილი პრემიერი, ყველა ყაიდის მოქმედი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ქარიზმატული ფიგურაა. ზოგს მისი სიდინჯე მოსწონს, ზოგს – სიხისტე.

ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ფანები“ თუ არა, გახარიას მიმართ დადებითად განწყობილები ოპოზიციაშიც არიან. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, ნაციონალური მოძრაობის არაერთი აქტივისტისა თუ რიგითი წევრისგან მომისმენია, ეგ სხვა „ქოცებს“ არ ჰგავსო.

ისე, თანამდებობიდან რომ წავიდა, ოპოზიციამ, მართალია, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენები, რომელიც ისტორიაში „გავრილოვის ღამის“ სახელით შევიდა, არ დაივიწყა, მაგრამ წინა პლანზე უფრო ის დააყენა, აი, გახარიას გადაწყვეტილებამ „ოცნების“ ჩამოშლა დაიწყო და ეს ერთგვარი გმირობაა.

გმირობაზე საუბარი, ცხადია, გადამეტებულია, თან ახლა, როცა გახარიას პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე, ოპოზიციამ რიტორიკა შეცვალა და პირდაპირ მიანიშნა, გახარია მმართველი გუნდის ახალი პროექტიაო.

დავუშვათ, ასეა, მაშინ გამოდის, რომ „ოცნება“ ერთგვარ რებრენდინგს იწყებს. ნებისმიერი გადახალისება, როგორც წესი, ცუდი არაა... ისე, ხმა დადის, რომ მოქმედი დეპუტატების ნაწილმა, შესაძლოა, გახარიას პარტიაში გადაინაცვლოს.

ამასთან, ერთი კვირის წინ, ისიც ითქვა, რომ გახარიას პოლიტპარტნიორად, შესაძლოა, გიორგი ვაშაძეც ვიხილოთ. ამ ხმის საფუძველი კი ის გახდა, რომ გაირკვა: „სტრატეგია აღმაშენებელი“ ატარებდა გამოკითხვას, რომლის ერთ-ერთი კითხვა იმას ეხებოდა, თუ როგორ წარმოუდგენია ხალხს „აღმაშენებლის“ თანამშრომლობა, ვთქვათ, გახარიას პარტიასთან.

მართალია, ამ თემაზე „სტრატეგია აღმაშენებელში“ განმარტებები გაკეთდა, მაგრამ მაინც პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა – რატომ გადაწყვიტა ვაშაძის პოლიტორგანიზაციამ, რომ გამოკითხვაში მახვილი, ჯერ არშექმნილ პარტიაზე დაესვა?

ალბათ, მოვა დრო და ამასაც გავიგებთ...

სხვათა შორის, 22 მარტს, გვიან საღამოს, ექსპრემიერმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, ოღონდ – ამჯერად, „ტვიტერზე“. კერძოდ, გახარიამ დაწერა:

„დღეს მე განვაცხადე, რომ საქართველოს პოლიტიკაში ვრჩები. ამჟამად, ვმუშაობ ჩემი პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაზე. საჭიროა პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა და მისი ევროპული მომავლის რეალური დღის წესრიგის შემუშავება“.

ერთ სიტყვით, ყველანი ვხვდებით, რომ ქართულ პოლიტიკაში ახალი ერა იწყება, ერა, რომლის ფუძემდებლადაც, შესაძლოა, გახარია მოგვევლინოს. ეს, რა თქმა უნდა, პირობითი ნათქვამია, მაგრამ ახლა, ბევრი „ფოკუსნიკობა“ არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ გახარიას პოლიტიკაში დაბრუნება თუ დარჩენა, გარკვეული პოლიტიკური თამაშის ნაწილია.

რა არის ყველაფერ ამის მიზანი, ან ვინ არის სცენარისტი? – მოდით, მოვლენათა განვითარებას მივყვეთ და ყველა რებუსი გზადაგზა ამოვხსნათ, მანამდე კი თვალი გახარიას პოლიტიკურ ბეგრაუნდს გადავავლოთ, რომელიც 2013 წლის მარტიდან იწყება ანუ 8 წლის წინ, ის საქართველოს ბიზნესომბუდსმენი გახდა და ამ თანამდებობაზე 2016 წლის ივლისამდე იმუშავა.

2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე კი გახარია ეკონომიკური საბჭოს მდივანი იყო; 2016 წლის 18-დან 30 ნოემბრამდე – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი გახლდათ, პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

2016 წლის 27-დან 2017 წლის 13 ნოემბრამდე, გახარია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად მუშაობდა.

2017 წლის 13 ნოემბერს, გიორგი გახარია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება. ასევე, იკავებს ვიცე-პრემიერის პოსტს.

2019 წლის 30 აპრილიდან 2019 წლის სექტემბრამდე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი იყო.

სხვათა შორის, გიორგი გახარიას პოლიტიკურ კარიერაში, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, 2019 წლის 20 ივნისის, ე.წ. გავრილოვის ღამის სისხლიანი მოვლენებია, რა დროსაც პარლამენტის წინ შეკრებილ სამოქალაქო აქტივისტებს სპეცრაზმმა თვალები დასთხარა. გახარიას დღემდე არ გაუცია პასუხი კითხვაზე, თუ ვინ გასცა 20 ივნისს, მიტინგის დარბევის ბრძანება.

2021 წლის 18 თებერვალს, გიორგი გახარიამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებდა.

„იქიდან გამომდინარე, რომ სამწუხაროდ, ჩემს გუნდთან ერთად, ვერ მივაღწიე ერთობლივ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, მივიღე გადაწყვეტილება გადავდგე დაკავებული თანამდებობიდან... მინდა მჯეროდეს, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზაციის შემცირებას, რამეთუ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პოლარიზაცია და დაპირისპირება არის ყველაზე დიდი რისკი ჩვენი ქვეყნის მომავლის, ეკონომიკური და ყველა რისკის განვითარების“, – თქვა გახარიამ.

ისე, თავის დროზე, გია ხუხაშვილი აცხადებდა, რომ გიორგი გახარია, „ქართულ ოცნებაში“, მისი რეკომენდაციით მივიდა.

ჩვენში დარჩეს და, დღეს ხუხაშვილი ამბობს, რომ არ შეიძლება, გიორგი გახარია დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა იყოს...

მართლაც და, რას გავუგებთ პოლიტიკას...

ახალი გადანაწილება მედიაბაზარზე – რა მიზნით გაერთიანდნენ „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“ ერთიანდება. სააქციო საზოგადოება „მედია ჰოლდინგის“ მიზანი სატელევიზიო ბაზრის ლიდერობაა. ჯერჯერობით უცნობია, როგორ გადანაწილდება წილები ახალ სააქციო საზოგადოებაში, თუმცა როგორც „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, პაატა სალიამ „ვერსიასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, ამ ეტაპზე ეს არცთუ მნიშვნელოვანი საკითხია. გარდა ამისა, „რუსთავი 2“-ში უკვე დაბრუნდნენ მეგა-შოუების პროდიუსერები – დემნა ჯაფარიძე და გიორგი ხაბურძანია.

გაერთიანების პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ვინაიდან არც ის ვიცით, როგორ გადანაწილდება წილები ორ სუბიექტს შორის, საჯარო რეესტრის ჩანაწერებშიც არაფერი შეცვლილა. შესაბამისად, რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, „რუსთავი 2“-ის მფლობელი ისევ ქიბარ ხალვაშია, უფრო ზუსტად, ბიზნესმენი 60%-ს, მის საკუთრებაში არსებული შპს „პანორამა“ კი 40%-ს ფლობს, გენერალური დირექტორი პაატა სალიაა. რაც შეეხება „პრაიმტაიმს“, აქ 50%-ს თაკო ფხაკაძე, მეორე 50%-ს კი მისი მეუღლე – გიორგი ქუთათელაძე ფლობენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – ბიზნესმენი გიორგი კაპანაძე, მეტსახელად, „რიჟა“, „პრაიმტაიმის“ დამფუძნებლის, თაკო ფხაკაძის ახლო ნათესავია. ამბობენ, რომ „რუსთავი 2“-ს, „პრაიმტაიმის“ სახელით, სწორედ „რიჟა“ აფინანსებს.

ვინ არის და რას წარმოადგენს ბიზნესმენი გიორგი კაპანაძე, იგივე „რიჟა“

ვინ არის „რიჟა“

ბიზნესმენ გიორგი კაპანაძის შესახებ საზოგადოებამ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ შეიტყო. „რიჟა“ პროკურატურის „ოქროს მოწმე“ გახლდათ – 2014 წლის ივლისში, უგულავა და მისი ყოფილი ქვისლი, გიორგი ღონიანიძე სწორედ კაპანაძის ჩვენებებისა და მისი დახმარებით მოპოვებული ფარული ვიდეოჩანაწერების შედეგად დააპატიმრეს.

წლების მანძილზე, გიორგი კაპანაძის სახელი უკავშირდებოდა საქართველოს უმსხვილეს საწარმოს, ზესტაფონის „ფეროს“, სილიკომანგანუმის წარმოებასა და რეალიზაციას. ამ ბიზნესს, „რიჟა“ თავის მრავალწლიან ბიზნესპარტნიორ ილია კოკაიასთან ერთად უძღვებოდა.

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, წლების წინ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2015-2019 წლებში, „რუსთავი 2“-ისა და ხელისუფლების დაპირისპირების პროცესში, სწორედ „რიჟას“ სახელი გამოიკვეთა. კერძოდ, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილის მფლობელის – ნინო ნიჟარაძის უკან, სინამდვილეში, „რიჟა“ იდგა. შეგახსენებთ, რომ ნიკა გვარამიას წინააღმდეგ საჩივრით, სასამართლოსა და პროკურატურას ნინო ნიჟარაძემ მიმართა. ამ დავაში ნიჟარაძის ინტერესებს ადვოკატი, გიორგი ყავლაშვილი იცავდა, რომელიც წლების მანძილზე, გიორგი კაპანაძისა და ილია კოკაიას ადვოკატი გახლდათ.

2015-2019 წლებში, „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილის მართვაში მონაწილე კომპანიის მფლობელი „რიჟას“ ბიზნესპარტნიორი, ნიკოლოზ ჩიქოვანი იყო. რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, ჩიქოვანი ახლა, „ჯორჯიან მანგანეზში“, სახელმწიფოს მიერ დანიშნული მმართველია. თავის მხრივ, „ჯორჯიან მანგანეზი“ ფლობს ზესტაფონის „ფეროსა“ და ჭაითურის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს. ამ კომპანიაში კი „რიჟას“ ბიზნესინტერესები იკვეთება.

* * *

რა მიზნით გაერთიანდნენ „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“? – ცვლილებების დეტალებზე, „ვერსიას“ პაატა სალია ესაუბრა.

– ბატონო პაატა, რა მიზნით გაერთიანდნენ „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“?

– „პრაიმტაიმმა“ და „რუსთავი 2“-მა ერთობლივად შევქმენით სააქციო საზოგადოება, მარტივი სახელწოდებით – „მედია ჰოლდინგი“. ჩვენი ამოცანაა, ძალისხმევის გაერთიანება, რათა „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“ უფრო ეფექტურები, აქტიურები და წარმატებულები გახდნენ. გვინდა, რომ ერთობლივი საქმიანობით უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სინერგია ორივე კომპანიას გაცილებით მეტ შედეგს მოუტანს, ვიდრე ცალ-ცალკე შეგვეძლო.

დღეს, „რუსთავი 2“-ს მეტი დახმარება სჭირდება, როგორც ფინანსური, ასევე, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩვენ უკვე დავიწყეთ გარკვეული მოქმედებები მას შემდეგ, რაც ეს სააქციო საზოგადოება შეიქმნა. „რუსთავი 2“ და „პრაიმტაიმი“ ახალ სააქციო საზოგადოებაში გარკვეული შენატანებით შედიან – ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, განახორციელოს, როგორც მატერიალური, ასევე, ფინანსური უზრუნველყოფა. ეს არის ფორმა, რაც მოვიფიქრეთ იმისთვის, რომ „რუსთავი 2“-მა შეუფერხებლად შეძლოს მაუწყებლობა იმ რთულ ვითარებაში, რაც წინა მენეჯმენტისგან დაგვხვდა. ფაქტობრივად, არხი დასანგრევად იყო განწირული, უკვე 18 თვე გავიდა და შევძელით, შეგვენარჩუნებინა არხი.

მეტიც, დღეს გარკვეული რეპუტაცია აქვს „რუსთავი 2“-ს და შეგვიძლია იმაზე საუბარი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც არხიდან წავიდა, დაბრუნებას გეგმავს. 2019 წლის აგვისტოში რთული იყო ადამიანების მოზიდვა „რუსთავი 2“-ში, მაგრამ დღეს აბსოლუტურად სხვა სიტუაციაა, რაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ჩვენი მენეჯმენტის ქვეშ განვლილმა პერიოდმა განაპირობა. ვთვლით, რომ ეს ჩვენი მიღწევაა, თუმცა დღის წესრიგში ახალი გამოწვევებია და ვფიქრობთ, უფრო მეტის მიღწევაა შესაძლებელი. ვერ დავკმაყოფილდებით იმ პოზიციით, რაც ახლა გვაქვს, მეტიც, ნამდვილად გვინდა, რომ სატელევიზიო ბაზარზე პირველობა დავიბრუნოთ. ამისთვის კი აუცილებელია ის ცვლილებები, რაც ამ შედეგის დადგომაში დაგვეხმარება. ამაზე აქტიურად ვმუშაობთ და გარკვეული გეგმაც გვაქვს – ახალი ჰოლდინგის ამოცანა და მიზანია, „რუსთავი 2“-მა შეძლოს არსებულ ფინანსურ სირთულეებთან გამკლავება და უახლოეს მომავალში, სატელევიზიო ბაზარზე პირველობის დაბრუნება.

– როგორ გადანაწილდება წილები „რუსთავი 2“-სა და „პრაიმტაიმს“ შორის ახალ სააქციო საზოგადოებაში?

– ჯერჯერობით ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. მაღალი კვალიფიკაციის მქონე, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ შეფასდება ჩვენი პოტენციალი და ის შენატანები, რის განხორციელებასაც ვაპირებთ კომპანიები ამ სააქციო საზოგადოებაში. ამის მიხედვით დადგინდება საბოლოოდ, მხარეთა წილობრივი მონაწილეობაც. ამაზე შეთანხმება არსებობს და მუშაობა გრძელდება, თუმცა ამ ეტაპზე, ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი არ არის, რომ მის გარეშე ის მოქმედებები არ განვახორციელოთ, რასაც ახლა ვაკეთებთ.

– ცვლილებების კვალდაკვალ, გაზეთ „პრაიმტაიმის“ აღდგენასაც ხომ არ გეგმავთ?

– ჩვენ დავაანონსეთ, რომ ვგეგმავთ, უფრო გავამრავალფეროვნოთ ის პლატფორმები, რომელთა საშუალებითაც გვექნება ურთიერთობა ჩვენს მაყურებლებთან თუ მკითხველებთან. შესაბამისად, უფრო მეტ დეტალს ცოტა მოგვიანებით გავაცნობთ საზოგადოებას. ამ ეტაპზე მხოლოდ იმით შემოვიფარგლოთ, რომ ჩვენი ამოცანაა, გავამრავალფეროვნოთ ის მედიასაშუალებები, რომლებითაც ინფორმაციას მივაწვდით ჩვენს ერთგულ მაყურებლებსა და მკითხველებს.

პირველ რიგში, ჩვენი ამოცანაა, „რუსთავი 2“-ის საეთერო ბადეში მრავალფეროვანი გადაცემები გვქონდეს, როგორც გასართობი, ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის. ვფიქრობთ, ძალიან მალე, სრული დატვირთვით ამუშავდება ტელეკომპანია „რუსთავი 2“. რა თქმა უნდა, ბევრი გადაცემა ერთდროულად ვერ დაემატება, თუმცა ეტაპობრივად, წლის ბოლომდე, ტელევიზია სრული დატვირთვით იმუშავებს. შესაბამისად, ყველა ის პროდუქტი გვექნება, რაც სატელევიზიო ბაზარზე პოპულარობით სარგებლობს – დაწყებული სერიალებიდან, დასრულებული – მეგა-შოუებით.

– ბატონო პაატა, „პრაიმტაიმიდან“ თქვენი პარტნიორები თაკო ფხაკაძე და გიორგი ქუთათელაძე არიან?

– დიახ.

– საუბრობენ, რომ „რუსთავი 2“-ს ბიზნესმენი, გიორგი კაპანაძე („რიჟა“) დააფინანსებს...

– გიორგი კაპანაძესთან ურთიერთობა არ გვაქვს, „რუსთავი 2“-ს ურთიერთობა აქვს მხოლოდ „პრაიმტაიმთან“. ალბათ, საიდუმლო არ არის, რომ მასთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებს თაკო ფხაკაძეს, თუმცა გადაწყვეტილებებსა და მოლაპარაკებებში გიორგი კაპანაძე არ მონაწილებს. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს ჰოლდინგში რაიმე სხვა ფორმით მის მონაწილეობაზე საუბარი არ არის.

ბაჩო დოლიძე: „15 მაისს, რუსთაველის გამზირი ხალხს ვერ დაიტევს!“

ოპოზიცია საგანგებო რეჟიმის ექსკლუზიური დეტალებით

ეთათია გოჩაძე
598-43-50-34

მას შემდეგ, რაც მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება ჩაიშალა, ოპოზიციაში აცხადებენ, რომ საგანგებო მდგომარეობაზე გადადიან და მასშტაბური აქციისთვის ემზადებიან, რომელიც 15 მაისს, რუსთაველის გამზირზე გაიმართება. მმართველი ძალა კი პოზიციას არ ცვლის და უკან არ იხევს... ამასთან, „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არაა და ყველაფერი ხელოვნურადაა შექმნილი. რა კონკრეტული გეგმა აქვს ოპოზიციას და შეინარჩუნებენ თუ არა პარტიები ე.წ. ბოიკოტურ ერთიანობას? – ამ კითხვებით „ვერსიამ“ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ ბაჩო დოლიძეს მიმართა:

– 15 მაისამდე, აბსოლუტურად ყველა რეგიონში, ქალაქში, რაიონში, სოფელსა და უბანში მისვლას ვგეგმავთ. მთელი ოპოზიცია კოორდინირებულად ვაპირებთ ხალხში გასვლას. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ხალხს ერთიანობა ვაჩვენოთ, 15 მაისს კი ყველამ ერთად დავანახოთ ხელისუფლებას ჩვენი არჩევანი, რომელიც დასავლეთი, განვითარება, თავისუფლებაა და არა ის, რასაც გვთავაზობენ – რუსეთი და მონობა. მკაფიო არჩევანი გაკეთდება, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ დაგვანახა, რომ ეს ქვეყანა და აქ მცხოვრები ადამიანები არ აინტერესებს.

– ბატონო ბაჩო, ბოლო დროს, ბევრი საუბრობს, რომ ოპოზიციას ხალხის ქუჩაში გამოყვანა უჭირს. ახლა თქვენი მთავარი გზავნილი ყველა ადამიანთან მისვლაა და გამოდის, რომ ოპოზიცია შეცდომას აღიარებს ანუ იცით, რომ ხალხს დაშორდით და ახლა ამის გამოსწორებას ცდილობთ?

– ოპოზიციამ თავის ამომრჩეველსა და მხარდამჭერს აჩვენა ალტერნატივა, რომ არსებობდა მოლაპარაკების პროცესი და ფონის გამძაფრება, პროცესების ქუჩაში გადმოტანა, შეიძლება, იმ ხარისხით საჭირო არ ყოფილიყო, რასაც დღეს ვხედავთ... მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის თავმჯდომარე დააპატიმრეს, შეგვეძლო, განგვეცხადებინა, სანამ მოლაპარაკების მაგიდიდან მოპარულ ადამიანს არ გამოუშვებთ, მოლაპარაკებაზე უარს ვაცხადებთო, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ესკალაციის ხარისხი და პოლიტიკური პოლარიზება ძალიან მაღალი იყო, ამ ნაბიჯზე არ წავედით, თუმცა პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ნაბიჯი ძალიან ბევრმა მხარდამჭერმა არ მოიწონა. გვეუბნებოდნენ, თუ ნიკა მელია მოლაპარაკების მაგიდასთან არ ზის, თქვენ რატომ სხდებითო?! ჩვენთვის მნიშვნელოვანი ყველანაირი შანსის გამოყენება იყო, რომ ეს კრიზისი მოლაპარაკების პროცესით დასრულებულიყო. შესაბამისად, დღეს, წინაპირობა აღარ არსებობს ამ ფორმატში, თუ ისევ „ქართულმა ოცნებამ“ არ გადაწყვიტა საპირისპირო, რომ მოლაპარაკების გზით შესაძლებელია კრიზისიდან გამოსვლა.

სამწუხაროდ, ეს მარტო ჩვენ კი არა, იმ პარტნიორებსაც უთხრეს, რომელთა საშუალებითაც აქამდე მოვედით. ევროკავშირსა და აშშ-ს, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტები შეიქმნა, უარი უთხრეს და ყოველგვარი ეთიკის გარეშე, კარი მიუხურეს. ამიტომ, სხვა არაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ გაცილებით მეტი მობილიზება და ერთიანობა გამოვიჩინოთ, რათა რამენაირად შევცვალოთ არჩეული ვექტორი, რომელიც ამ დაჯგუფებამ შექმნა.

– ბატონო ბაჩო, „ქართული ოცნების“ ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ ცოტა ხნის წინ განაცხადა, ეს ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური კრიზისიაო... იმ ფონზე, როცა მმართველი ძალა უკან დახევას არ აპირებს, როგორ ფიქრობთ, ოპოზიციას რა შანსი აქვს?

– „ქართული ოცნება“ ყველა თავის ქმედებაში ერთსა და იმავეს აჩვენებს, რომ არ აინტერესებს ამ ქვეყანაში არსებული ვითარება და იმას, რომ ხალხი ღატაკია, რომ აუხსნელი „ლოქდაუნია“ და კორუფცია გვაქვს, ხელოვნურ კრიზისს ეძახის. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს, მოგვარებული რომ ჰქონოდა ხელისუფლებას, საპროტესტო მუხტს ადგილი ან აზრი ექნებოდა? სახელმწიფო წარმატებული რომ ყოფილიყო, თუნდაც მხოლოდ კოვიდის მართვის ეპიზოდში, ბევრად მშვიდად გააგრძელებდნენ საპარლამენტო ცხოვრებას, მაგრამ გვეუბნებიან, პრობლემა არ არის, სასამართლოსა და მართლმსაჯულებაში კორუფცია არ არსებობსო. ყველაფერი ეს, ალბათ, პოლიტიკური აუტიზმი ან, უბრალოდ, უტიფრობაა.

– „გირჩი“ მმართველ ძალასთან მოლაპარაკებას იწყებს და საერთოდ, საუბარია, რომ შესაძლოა, პატარა პარტიები საპარლამენტო ცხოვრებას შუერთდნენ ანუ ოპოზიცია ერთიანობას ინარჩუნებს?

– ჩვენთვის ერთიანობა ძალიან მნიშვნელოვანია და ოპოზიციურ შეხვედრებზე პარტიის სიდიდეს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. აბსოლუტურად ყველას აქვს ერთნაირი ხმა. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ ერთიანობაში არ იყოს ბზარი, თუმცა თუ დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა, ყველას აქვს თავისი პოლიტიკური გზა. ჩვენ ყველაფერ ამას იმიტომ კი არ ვაპროტესტებთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ან რომლეიმე სხვა პარტია მოვიდეს მთავრობაში, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები და ყველას ჰქონდეს ის პროპორციული წარმომადგენლობა ხელისუფლებაში, როგორ ხმებსაც მიიღებს. თუ დავინახეთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმათა უმრავლესობა აიღო, უნდა შევეგუოთ, თუმცა დღეს საპირისპიროს ვხედავთ. რეალურად, 35%-იანმა დაჯგუფებამ, 100%-იანი ძალა-უფლება აიღო.

– ანუ უშვებთ, რომ შესაძლებელია, ზოგი პარტია პარლამენტში შევიდეს და ბოიკოტის ერთიანობა დაიშალოს?

– მოთხოვნები, რომელიც დღესაა, „ნაციონალური მოძრაობაც“ რომ გაეთიშოს ყველაფერ ამას, არ შეიცვლება და უკვე შეუქცევადი პროცესია, რადგან ეს პრობლემები არაა ხელოვნური. ამ ხალხს ცვლილება და სიღატაკიდან გამოსვლა უნდა. ერთი პარტია იქნება, ორი თუ 23, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და არც ტრაგედია უნდა შეიქმნას, ყველას აქვს თავის გზა. მთავარია, საბოლოოდ უნდა დასრულდეს ის ბაქანალია, რაც დღესაა.

– ვფიქრობ, ამ პროცესში, მიხეილ სააკაშვილის ადგილიც მნიშვნელოვანია. ზოგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პროცესებს უნდა ჩამოშორდეს, რადგან მის ფაქტორს „ქართული ოცნება“ სათავისოდ იყენებს... როგორია სააკაშვილის როლი ოპოზიციის საგანგებო მდგომარეობაზე გადასვლაში?

– არ არის სწორი, ერთი მხრივ, ვამბობდეთ, დემოკრატია გვინდაო და მეორე მხრივ, ვთქვათ, ესა და ეს ადამიანი უნდა ჩამოშორდეს პროცესსო. თუ ასეა, მაშინ რითი განვსხვავდებით „ქართული ოცნების“ ნარატივისგან? – არაფრით. მიხეილ სააკაშვილი ამ პარტიის ყოფილი თავმჯდომარე, დამფუძნებელია და შესაბამისად, მაქსიმალურად იქნება ჩართული ამ პროცესებში, რისი შესაძლებლობაც დევნილობის პირობებში აქვს, თუმცა ყველაფერი მაინც საქართველოში, იმ მაგიდასთან წყდება, სადაც მრავალი პარტიაა წამრმოდგენილი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთობა და კოორდინაცია ამ უმძიმეს ვითარებაში.

– მოკლედ, ოპოზიციის გეგმა ქუჩა და საპროტესტო აქციებია, რადგან ხელისუფლებასთან მოლაპარაკების რესურსს ვეღარ ხედავთ, არა?

– ვიცით, რომ ჩვენი საკითხი ჩანიშნულია აშშ-შიც და ევროკავშირშიც – 22-23 რიცხვებში და აქედან გამომდინარე, მზად ვართ, ნებისმიერ მომენტში მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, თუმცა პროცესი, რომელმაც გვაიძულა, ქუჩაში გადაგვეტანა, ნამდვილად არ შეწყდება და კულმინაცია 15 მაისი იქნება. ეს არის უმნიშვნელოვანესი თარიღი საქართველოს ისტორიაში, ერთხელ და საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი საბჭოთა საქართველოზე და ჩვენს შვილებს მაინც უნდა დავახვედროთ ის, რასაც იმსახურებს ეს ქვეყანა.

დარწმუნებული ვარ, 15 მაისს, რუსთაველის გამზირი ხალხს ვერ დაიტევს!

თენგიზ ცერცვაძე: „ვაქცინაცია არ არის უსაფრთხო, მაგრამ...“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ამ კვირაში საქართველო „ფაიზერის» ვაქცინას ელოდება, თუმცა მანამდე, ქვეყანაში იმუნიზაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს. უნდობლობისა და უკურეაქციის მძიმე შემთხვევის გამო, ერთი კვირის განმავლობაში, ბოლო მონაცემებით, მხოლოდ 3 818 პირი აიცრა და ეს იმ ფონზე, როდესაც „ასტრაზენეკას“ ვაქცინის 43 ათასი დოზაა ქვეყანაში შემოტანილი. მთავრობის გადაწყვეტილებით, ვაქცინის გაკეთება, მედიცინის სფეროში მომუშავე პირების გარდა, 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეებსაც შეეძლებათ და ვაქცინაციისთვის დარეგისტრირებას 25 მარტიდან შეძლებენ. იმ ტრაგედიის ფონზე, როდესაც ვაქცინაციის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში, კოვიდვაქცინას 27 წლის მედდა შეეწირა, „ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად მნიშვნელოვანია ვაქცინაციის გაგრძელება კოვიდპანდემიის დასამთავრებლად და გამოჩნდა თუ არა მსოფლიო კვლევებით ახალი მედიკამენტი, რომელიც კორონავირუსის საწინააღმდეგოდ გამოიყენება? – გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს თენგიზ ცერცვაძესთან:

რამდენი ხნის შემდეგ უნდა აიცრას კოვიდგადატანილი ადამიანი და როდის დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას

– სახელმწიფომ ეფექტური პიარკამპანია უნდა გაატაროს, რათა დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ ვაქცინაცია ერთადერთი გამოსავალია. მოსახლეობას გულწრფელად უნდა ვუთხრათ, რომ ვაქცინაცია არ არის უსაფრთხო, ეს მთელ მსოფლიოში ასეა. საფრთხეს მხოლოდ კორონავირუსის კი არა, სხვა, ნებისმიერი ვაქცინა შეიცავს. როგორც სტატისტიკით გაირკვა, „ასტრაზენეკას“ შემთხვევაში, 5 მილიონზე, 41 ანაფილაქსიური რეაქცია განვითარდა და, დაახლოებით, 10-მდე თრომბოემბოლიით გართულდა, რაც გარდაცვალებით დამთავრდა. რამდენიმე დღის წინ, იტალიაში ახალგაზრდა ვაქცინირებული ქალი თრომბოემბოლიური გართულებით გარდაიცვალა. უნდა ვუთხრათ მოსახლეობას, რომ ასეთი საფრთხე, თეორიულად, არსებობს და სამწუხაროდ, ამის რეალიზება მაინცდამაინც ჩვენთან მოხდა, თუმცა სხვა გამოსავალი არაა. თუ რისკსა და სარგებელს შევადარებთ, სარგებელი მრავალჯერ გადაწონის. ისე, რისკს ყოველ წუთს ვეწევით, როცა გამოვდივართ ქუჩაში – არის ალბათობა, რომ მანქანა დაგვეჯახოს, თვითმფრინავში რომ ვსხდებით, არის ალბათობა, რომ ჩამოვარდეს და ა.შ., მაგრამ ამის გამო, ყველაფერ ამაზე უარს არ ვამბობთ.

მოკლედ, ასე უნდა მივუდგეთ – ვაქცინაცია შეიცავს გარკვეულ რისკს, მაგრამ მისი არგაკეთება გაცილებით დიდი რისკია. წარმოიდგინეთ, მსოფლიოში კოვიდით 2 700 000 ადამიანია გარდაცვლილი, ვაქცინით კი – 11.

– გასაგებია, მაგრამ შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ კოვიდით გარდაცვლილები ავად იყვნენ. ეს 11 ადამიანი ავად არ იყო, ამიტომ ამ ციფრების შედარება ნაკლებად ლოგიკურია...

– სიკვდილამდე ავად არც ის 2 700 000 ადამიანი იყო, მაგრამ დაემართა კოვიდი და გარდაიცვალა. არავის გვაქვს გარანტია, რომ კოვიდი არ დაგვემართება და იმ სამწუხარო 2%-ში არ მოვხვდებით, რომლის გადარჩენაც ვერ ხერხდება. სტატისტიკის მიხედვით, ევროპასა და აშშ-სთან შედარებით, სიკვდილობისა და ინფიცირების შემთხვევების მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლი გვაქვს, მაგრამ ყოველ დღე, კოვიდით მაინც 9-10 ადამიანი იღუპება.

ახლა საქართველო, ახალ გზაგასაყარზე დგას და ორი სცენარი გვაქვს ასარჩევი. პირველი – უარს ვამბობთ ვაქცინის მიმართ სკეპტიციზმსა და უნდობლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოხდა უბედური შემთხვევა და ვაგრძელებთ აქტიურ ვაქცინაციას, რათა წლის ბოლოს შევასრულოთ გეგმა და მოსახლეობის, მინიმუმ, 60-65% იყოს აცრილი. ამ შემთხვევაში, მოხდება ინფექციის ახალი შემთხვევებისა და გარდაცვალების მინიმიზაცია და შესაძლოა, განულებაც. ყველანაირი შეზღუდვა მოიხსნება, ბიზნესი იქნება ღია, ასევე, შესაძლებელი იქნება ეკონომიკური ვარდნის სწრაფად გამოსწორება, თითოეული მოქალაქის შემოსავალი გაიზრდება და ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება. მოკლედ, დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას.

მეორე სცენარი კი ისაა, რომ ავყვეთ ემოციებს, ზოგჯერ სიჯიუტესაც. ერთგვარად, ასეთი ტრენდი შემოვიდა – „მე არ გავიკეთებ ვაქცინას“, თითქოს ვაქცინის გაკეთებას მტრები ეუბნებიან და ესენი არ თანხმდებიან. მივეცეთ სკეპტიციზმს, გავაღრმაოთ უნდობლობა და არ გავიკეთოთ ვაქცინა, კი ბატონო, არავინ ძალით არ აკეთებინებს, ნებაყოფლობითია, მაგრამ ამას აუცილებლად მოჰყვება ახალი შემთხვევების გაზრდა. ნახეთ, ევროპაში რა ხდება – ყველგან იმატებს შემთხვევები. შემთხვევების გაზრდას მოჰყვება გარდაცვალების მატება და ხელისუფლება იძულებული გახდება, ხელახლა შემოიღოს შეზღუდვები. ამას მოჰყვება უკვე ამ ტიპის უკმაყოფილება და პროტესტი მოსახლეობის მხრიდან. ვნახეთ, რამდენიმე დღის წინ, გერმანიაში, 20 000-იანი მსვლელობა გაიმართა და პოლიციამ წყლის ჭავლით დაშალა, ეს მოხდა ყველაზე კანონმორჩილ და ცივილიზებულ ქვეყანაში.

საბედნიეროდ, საქართველოში ახლა საუკეთესო მოცემულობა გვაქვს, არის ინფიცირებისა და გარდაცვალების დაბალი რიცხვი და უნდა გავიკეთოთ ვაქცინა, რომ ეს რიცხვი არ გაგვექცეს. თუ არ გავიკეთებთ, მაშინ გვექნება მესამე ტალღა. ყველამ განვსაზღვროთ, რა არის უარესი ქვეყნისთვის – თეორიული რისკი, კიდევ განმეორდეს ეს ერთეული, სამწუხარო შემთხვევა, თუ რეალური რისკი, რომ ათასობით ავადმყოფი და ათეულობით გარდაცვლილი გვყავდეს?

– ბატონო თენგიზ, მათ, ვინც კოვიდინფექცია უკვე გადაიტანეს, ვაქცინა რამდენი ხნის შემდეგ უნდა გაიკეთონ?

– ეს წესი მკაცრად გვაქვს განსაზღვრული. ვაქცინაციის საბჭოში არ ვარ, მაგრამ როგორც მკურნალმა ექიმმა, ვიცი, რომ ჩვენთან, კანონში 120 დღე ჩაიწერა დიაგნოზის დადგენიდან ანუ როცა დაუდასტურდათ კოვიდი, იმ დღიდან 4 თვის შემდეგ.

– მესამე ტალღა ახსენეთ და საინტერესოა, თქვენი პროგნოზი, თუ ამ ტემპით გაგრძელდა ვაქცინაცია, საქართველოში პანდემიის შემდეგ ტალღას როდის უნდა ველოდოთ?

– ვერ გამოვრიცხავთ მესამე ტალღას. უნდა ვუყუროთ მსოფლიოს, იზრდება რაოდენობა, საფრანგეთში უკვე მიაღწია იმ რაოდენობას, რაც პიკის პერიოდში იყო – 35 000 შემთხვევაა დღეში ანუ იქ მესამე ტალღა უკვე არის. გერმანიაშიც ელოდებიან მესამე ტალღას და ჩვენ ვერ ვიქნებით გამონაკლისი, სამწუხაროდ.

– მნიშვნელოვანია, რაიმე ხომ არ შეიცვალა კორონავირუსის მკურნალობის პროტოკოლში, ან ახალი პრეპარატი ხომ არ გამოჩნდა?

– არაფერი. რამდენიმე პრეპარატს იკვლევენ, მთელი მსოფლიო ელოდება, რომელიმე პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების მედიკამენტს, რომელიც ვაქცინასთან ერთად, პრაქტიკულად, დაამთავრებს პანდემიას. მარტო ვაქცინით, პანდემიას ვერ დავამთავრებთ, ვაქცინით შევამცირებთ, მინიმუმამდე დავიყვანთ, თორემ ვერ დავამთავრებთ იმიტომ, რომ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება მთელი მოსახლეობის აცრა. ყველა აცრილს ვაქცინა ვერ იცავს და ამიტომ, შემთხვევების გარკვეული რაოდენობა ყოველთვის იქნება. ინიფიცრებულებს რომ ვუმკურნალოთ და გარდაცვალების შემთხვევები აღარ იყოს, აუცილებელია ანტივირუსული მოქმედების მედიკამენტი. ჯერჯერობით, ასეთი არ გამოჩენილა, არის მხოლოდ კვლევები. ბოლო, რაც გამოჩნდა პერსპექტიულ პრეპარატებს შორის, „ტოცილიზუმაბია“, რომელიც არ არის ანტივირუსული პრეპარატი, ის კოვიდის გართულების სამკურნალო პრეპარატია და 24%-ით ამცირებს სიკვდილობას მძიმე, კრიტიკულ ავადმყოფებში. ჩვენდა საამაყოდ, ამ მედიკამენტს ვიყენებთ ჯერ კიდევ გასული წლის მარტიდან – მაშინ, როცა პირველად გამოჩნდა ამ მედიკამენტზე ცნობები, მაშინვე ავუღეთ ალღო, რომ ეს მედიკამენტი იქნებოდა ეფექტური.

ივლისში ერთი, ძალიან წარმატებული შემთხვევა გვქონდა – სასიკვდილოდ განწირულ 84 წლის ქალბატონს ვუმკურნალეთ და გადარჩა. „პირველმა არხმა“ მოკლემეტრაჟიანი ფილმიც გადაიღო ამ ქალბატონზე. ამაზე ახალი მედიკამენტი ჯერ არ გამოჩენილა.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომ უნდა აშენდეს დიდი ჰესები საქართველოში – ექსპერტის მოსაზრება

146 დღეა, ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, პროტესტი გრძელდება. თითქმის ხუთი თვეა, ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც თავს „რიონის მცველებს“ უწოდებს, ჰესის მშენებლობას ჯიუტად ეწინააღმდეგება, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე, მხოლოდ პროტესტიდან 120-ე დღეს ჩავიდნენ, ისიც იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრმა დაავალა. ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები ლეჩხუმს ეწვივნენ, ცაგერის კულტურის სახლში, მოსახლეობასთან დიალოგიც შედგა, თუმცა ვითარება არ განმუხტულა, რადგან „შეხვედრიდან“ რამდენიმე დღეში, ქუთაისში საპროტესტო აქცია გაიმართა. სხვათა შორის, ამ აქციაზე პოლიტიკური ველიდან გაუჩინარებული რაინდი, ლევან ვასაძეც გამოჩნდა, თავის „ამქართან“ ერთად. „არა, დიდ ჰესებს!“ – ამ აქციის მთავარი გზავნილი გახლდათ. სინამდვილეში, იმისთვის, რომ ელექტროენერგიის იმპორტზე დამოკიდებული, უხვმდინარიანი საქართველო ენერგოდამოუკიდებელი გახდეს, ჰიდროენერგეტიკა აუცილებლად უნდა განვითარდეს, რაც ჰესების მშენებლობას ნიშნავს. ჰიდრორესურსებით მდიდარმა ქვეყანამ თავისი ბუნებრივი სიმდიდრე აუცილებლად უნდა აითვისოს და ამას ალტერნატივა არ აქვს. არავინ კამათობს იმაზე, რომ მშენებლობამდე, პროექტირების პროცესში, გარემოზე ზემოქმედების შესწავლის (გზშ) დოკუმენტი უნდა მომზადდეს და ჰესი უსაფრთხოების ნორმების დაცვით უნდა აშენდეს, მაგრამ ლოზუნგი – „არა, დიდ ჰესებს!“ – საქართველოს დაუძინებელი მტრის რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ვის, ვის და რუსეთს, როგორც ელექტროენერგიის ძირითად იმპორტიორს საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა და შესაბამისად, რეგიონში საკუთარი გავლენის შესუსტება არ აწყობს. ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ, პირველ რიგში, გარემოსდამცველმა ორგანიზაციებმა და ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგეებმა კარგად უნა გაიაზრონ, რომ ლოზუნგი – „არა, დიდ ჰესებს!“ – უკან, სიბნელესა და წყვდიადში დაბრუნებას ნიშნავს. გარდა ამისა, ჰესების მშენებლობას უამრავი ეკონომიკური სიკეთე მოჰყვება, რაც მოსახლეობამ არ იცის. „ვერსიას“ ენერგეტიკის ექსპერტი, პროფესორი დავით მირცხულავა ესაუბრება.

– ბატონო დათო, ნამახვანჰესის წინააღმდეგ, მოსახლეობის პროტესტი არ წყდება, ხელისუფლებასა და ადგილობრივებს შორის დიალოგი ჩიხში შევიდა. რა გამოსავალს ხედავთ, ამ ვითარებაში?

– მართალია, კომუნიკაციის ნაკლებობა იყო და ახლაც უდავოდ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თითქოს, საერთოდ არ მართულა შეხვედრები და განხილვები ამ საკითხზე. გარკვეული სამეცნიერო კონფერენციები ზუმ-რეჟიმში ტარდებოდა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმეს პირადად დავესწარი, ცალკე განხილვებიც გაიმართა. თუმცა მოსახლეობასთან მუშაობის თვალსაზრისით, გაცილებით მეტი იყო გასაკეთებელი, უფრო მეტად უნდა დალაპარაკებოდნენ და მეტი ახსნა-განმარტებითი სამუშაოები ჩაეტარებინათ. ამგვარი კომუნიკაცია გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

მოსახლეობის პროტესტიც აბსოლუტურად მესმის და ახალი არაფერია, რადგან ასეთი მნიშვნელობის პროექტებს, ყოველთვის ახლავს ხოლმე ვნებათაღელვა. არიან ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჰესების მშენებლობას. მე ყოველთვის მომხრე ვარ, რომ გარკვეული კომპრომისები მოიძებნოს. მდგრადი განვითარების პრინციპი რა არის? – ტექნიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი საკითხების თანხვედრა და მათ შორის, ოქროს შუალედის მოძებნა! მაგალითად, ნამახვანჰესთან დაკავშირებით, არის კითხვები კლიმატისა და უსაფრთხოების შესახებ, დღემდე ამ კითხვებზე ბევრი პასუხი გაიცა, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული კვლევები ნამდვილად ჩატარდა, მაგრამ მათზე ინფორმაცია გარემოს დამცველებსაც კი არ ჰქონდათ.

როდესაც ასეთი პროექტი ხორციელდება, კვლევები წინა საპროექტო ფაზაზე იწყება და მიმდინარეობს პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციის ეტაპებზე. ეს უწყვეტი ციკლია და აუცილებელი იყო, რომ ამის შესახებ შესაბამისი განმარტებები გაეკეთებინათ. ზოგადად, ნებისმიერ ნაგებობას, რომელიც შენდება, გარკვეული ზემოქმედება აქვს ბუნებაზე და ამის თქმა თამამად შეიძლება, მაგრამ პროექტი ისე უნდა განხორციელდეს, რომ მინიმიზირებული იყოს ყველა ნეგატიური გავლენა. მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებს შესაბამისი ნორმატივები, რათა სწორედ ასე აშენდეს ნებისმიერი ნაგებობა.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ნამახვანჰესის საწყისი ეტაპიდან, საკმარისი კომუნიკაცია არ ყოფილა, თუმცა გარკვეული სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ ჰიდროენერგეტიკა ამ ქვეყნის მომავალია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი, ფუნდამენტური საკითხია იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს რესურსი, რომელიც უნდა ავითვისოთ. ვერ ნახავთ მსოფლიოში ქვეყანას, რომელსაც ასეთი ჰიდრორესურსი ჰქონდეს და არ იყენებდეს!

– კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ მსოფლიოს ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ჰიდრორესურსები და იყენებენ.

– ევროპის დაწყნარებული და განვითარებული ქვეყნებიდან დავიწყოთ, ვგულისხმობ ავსტრიას, იტალიას, ესპანეთს... ესპანეთში არის პროვინციები, სადაც გაცილებით მეტი კაშხალი და ჰიდროსადგურია აშენებული, ვიდრე მთლიანად საქართველოში. მაგალითად, გერმანიას, საქართველოსთან შედარებით, არც ისე დიდი ჰიდრორესურსები აქვს, მაგრამ იქ 7 500-ზე მეტი მცირე ჰიდროსადგურია, ხოლო იტალიაში – 2 500 მცირე ჰიდროსადგური. მთლიანად, ევროპაში, დაახლოებით, 22 000 მცირე ჰიდროსადგურია და კიდევ ფიქრობენ მათ განვითარებაზე. ხშირად ამბობენ, რომ ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა შეწყვიტეს ჰიდრომშენებლობა, მაგრამ იმ ქვეყნებმა შეწყვიტეს, სადაც ეს რესურსი მთლიანად აითვისეს. თუმცა შვეიცარიაში, უკვე არსებული ჰესების რეკონსტრუქცია და კაშხლების ამაღლების სამუშაოები მიმდინარეობს, რათა მაქსიმალურად აითვისონ.

თუ მსოფლიოს მასშტაბით, ჰესების მშენებლობის ისტორიას გადავხედავთ, რაც 100 წელზე მეტს მოიცავს, არ მეგულება ქვეყანა, რომელმაც საკუთარი ჰიდრორესურსის ათვისებაზე უარი თქვა, ასეთი ფაქტი არ ყოფილა! ხშირად მომყავს შვეიცარიის მაგალითი, მასზე დავარცხნილი და მოვლილი ქვეყანა არ ვიცი, მაგრამ ჩვენზე პატარა ქვეყანას 600 ჰიდროელექტროსადგური აქვს. მათი ჯამური გამომუშავება 37 000 მეგავატია, საქართველო 3 000 მეგავატს ძლივს ასცდა. იმის მიუხედავად, რომ ნორვეგიაში უამრავი გაზი და ნავთობი იყო, მისი ენერგეტიკა მთლიანად ჰიდროსადგურების მშენებლობაზეა დამოკიდებული და 90%-ზე მეტი აქვს ათვისებული. პორტუგალიაშიც შენდება ჰესები, მოკლედ, მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ ამბობს უარს ჰესებზე.

ვფიქრობ, ჰიდრორესურსი აუცილებლად გვჭირდება ჩვენი ენერგეტიკისთვის, რადგან თუ ჰესები არ გვექნება, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მოგეხსენებათ, მუდმივად იმპორტირებულ ენერგიაზე ვართ დამოკიდებულები, რომლის წილი ძალიან იზრდება, რაც ეკონომიკაზეც ახდენს გავლენას. გარდა ამისა, პანდემიის შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით, ეკონომიკა სწრაფად დაიწყებს განვითარებას და ამ პროცესს ჩვენც ფეხი უნდა ავუწყოთ. ამ ვითარებაში, ჰესებზე ასეთი შეტევა კარგს არაფერს მოგვიტანს. ნებისმიერი, დახურული და შეჩერებული პროექტის დროს, აუცილებელია, რისკები დავითვალოთ და გავიგოთ, რა პრობლემა მოჰყვება ჰესების მშენებლობის შეჩერებას. მაგალითად, ხუდონჰესის პროექტი გაჩერებულია, რომელსაც უზარმაზარი ისტორია აქვს. მიწისქვეშა ნაგებობები აშენებულია, მაგრამ ქვეყანა ვერ იყენებს რეალურად...

– უკაცრავად, გაწყვეტინებთ, მაგრამ ხუდონჰესის გარდა, ნენსკრაჰესის მშენებლობაც ხომ შეჩერდა?

– კი, ბატონო! ყველა დიდი ჰიდროსადგურის მშენებლობა შეჩერდა ჩვენთან, მაგრამ მათ გარდა, უამრავი საშუალო და მცირე სადგურების მშენებლობაც შეჩერებულია. ჰესები უნდა აშენდეს, რაც ენერგეტიკული სისტემის გარკვეულ მანევრულობას გვაძლევს, რადგან სხვა, განახლებადი ენერგიის წყაროების ასათვისებლად, როგორებიცაა ქარი და მზე, ჰესები აუცილებელია. ესპანეთის მაგალითი ვახსენე და იქ, სწორედ, წყალსაცავიანი ჰესები ასრულებენ იმ სარეზერვო სიმძლავრეების ფუნქციას, რაც მზისა და ქარის სადგურებს სჭირდება. მაგალითად, 2030 წლისთვის, ჩვენ რომ 1 300 მეგავატი ქარისა და დაახლოებით, 500 მეგავატი მზის ენერგია გვქონდეს, ამ სადგურების ინტეგრირებისთვის, შესაბამისი წყალსაცავიანი ჰესებიც აუცილებლად უნდა აშენდეს.

– დიდი ჰესების წინააღმდეგ აგორებული პროტესტის ფონზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ენგურჰესი გაჩერდა. შესაბამისად, ელექტროენერგიის ისედაც მზარდი იმპორტი, ამ პერიოდში, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ამ პირობებში, „რიონის მცველები“ დიალოგზე უარს ამბობენ. როგორ უნდა დამყარდეს კომუნიკაცია ხელისუფლებასა და ამ ხალხს შორის?

– ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია, რაციონალური გადაწყვეტილება მოვძებნოთ. ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომლის ეკონომიკა უნდა განვითარდეს.

დასასრული მე-8 გვერდზე

რატომ უნდა აშენდეს დიდი ჰესები საქართველოში – ექსპერტის მოსაზრება

მე-7 გვერდიდან

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, ეკონომისტების განმარტებებია საჭირო, რომლებიც დეტალურად ახსნიან, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სწორედ ასეთი, დიდი პროექტების განხორციელება. ფაქტობრივად, ხუდონის, ნენსკრასა და ნამახვანის პროექტი 6%-იან ზრდას მოგვცემს მთლიან შიდა პროდუქტში, რაც პირდაპირი ინვესტიციებია. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რა ძალისხმევა და შრომა დასჭირდება ამას, მაგრამ მოსახლეობასთან კომუნიკაცია უნდა დამყარდეს.

ამ ქვეყანაში, ჰესების მოწინააღმდეგეებიც პატრიოტები არიან და ის ხალხიც, რომლებსაც ჰესების აშენება უნდათ. მოდით, ამ საკითხს ასე შევხედოთ, რადგან ენგურის გაჩერებით, საქართველოს ენერგეტიკას სერიოზული პრობლემა აქვს. ეს ორიოდე დღის წინ, სახელმწიფო ელექტროსისტემაში მომხდარმა ავარიამაც დაადასტურა, როდესაც მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი გაითიშა და მთელი ქვეყანა ჩაბნელდა, სისტემის აღდგენას კი დრო დასჭირდა. ამას დაამატეთ ისიც, რომ გარკვეული პრობლემები იყო გაზმომარაგებაშიც, რადგან თბოელექტროსადგურებიც გაითიშა. შესაბამისად, ჩვენი, საკუთარი ენერგეტიკის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია.

როდესაც ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, ხალხს ეს ლოზუნგი ჰგონია. არა, ბატონებო, ენერგოუსაფრთხოება ისეთი ცნებაა, რომელიც შეიძლება, დავთვალოთ და მისი პარამეტრებიც შევაფასოთ. როდესაც ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ დამოუკიდებლობის პარამეტრების გაუმჯობესებას. ისედაც, ყველა ჰესი გარკვეულ, ეკონომიკურ მიკროკლიმატს ქმნის თითოეულ რეგიონში და ეკონომიკურ მდგომარეობას ანვითარებს. რეალურად, ჩავთვალოთ, რომ თითოეული მცირე ან საშუალო ჰესი ჩვეულებრივი საწარმოა, რომელიც პროდუქციას, ამ შემთხვევაში, ელექტროენერგიას ქმნის.

– ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ახსენეთ, მაგრამ რეალურად, რა პერსპექტივა აქვს ჰესების მშენებლობას განახლებადი ენერგიების განსავითარებლად?

– ყველამ იცის, რომ მთელი მსოფლიო და განვითარებული ევროპა ახალ ენერგეტიკაზე აპირებს გადასვლას, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს წიაღისეული ენერგორესურსებისგან. მოკლედ, ევროპა ნახშირბადებიდან უნდა გათავისუფლდეს და ამ მხრივ, უზარმაზარი როლი ენიჭება ისეთ ახალ პროდუქტს, როგორიცაა წყალბადი, უფრო ზუსტად, მწვანე წყალბადი. მის მისაღებად, გამოყენებულია განახლებადი ენერგიების – ქარის, მზისა და ჰიდრორესურსები. ჩვენ მწვანე წყალბადის განვითარების საშუალება გვაქვს.

რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროდუქტის განვითარება, გერმანიის მაგალითზე აგიხსნით, სადაც სპეციალური პროგრამა დაიწყო და 9 მილიარდი ევრო, სწორედ მწვანე წყალბადის განსავითარებლად გამოყვეს. ამ 9 მილიარდიდან, 7 მილიარდი ევრო დაიხარჯება გერმანიაში, ხოლო 2 მილიარდი ევრო – იმ ქვეყნებში, სადაც საშუალებაა, რომ განახლებადი ენერგიებიდან მიღებული მწვანე წყალბადის ექსპორტი განხორციელდეს გერმანიაში. ვფიქრობ, რომ საქართველოს ამის პერსპექტივა ნამდვილად აქვს.

ეს ახალი მიმართულება ენერგეტიკაში, სულ მალე, საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდება. რეალურად, ისეთი რესურსები ჩანაცვლდება, როგორებიცაა ბუნებრივი წიაღისეული, ნავთობი, გაზი... საქართველოს ახალი პროდუქტის – მწვანე წყალბადის წარმოების პერსპექტივა აქვს, რაც დამოკიდებულია განახლებადი ენერგიების, პირველ რიგში, ჩვენი ძირითადი, ჰიდრორესურსის ათვისებაზე – ცხადია, ამ შემთხვევაში, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ვგულისხმობ.

იმას არ ვამბობ, რომ ყველა პროექტი მომწონს, ასე ნამდვილად არ არის, არის პროექტები, სადაც კითხვის ნიშნებია, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა განვავითაროთ განახლებადი ენერგიების წყაროების ათვისების დარგი. ყველაფერი ეს, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განვახორციელოთ, სადაც ვიპოვით ოქროს შუალედს ეკონომიკის, გარემოსდაცვით და ტექნიკურ საკითხებს შორის.

ჰიდროენერგეტიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მიმაჩნია, რომ ეს რესურსი გვაქვს და თუ მის ათვისებაზე უარს ვიტყვით, ქვეყანა ვერ განვითარდება. ჰიდრორესურსის ათვისებაზე უარის თქმა იცით, რას ნიშნავს? – იმას, რომ თავის დროზე, ნორვეგიას უარი ეთქვა ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე; სპარსეთის ყურის ქვეყნებს უარი ეთქვათ ნავთობის მოპოვებაზე; ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანს კი, ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე ეთქვა უარი.

ვფიქრობ, საქართველომ თავისი ჰიდრორესურსი მაქსიმალურად და ოპტიმალურად უნდა აითვისოს. ძალისხმევა დაგვჭირდება, მაგრამ არ მინდა, რომ დავაგვიანოთ. მწვანე წყალბადი ვახსენე და მალე, მის გამო ისეთივე ბრძოლები დაიწყება ბაზრების მოსაპოვებლად, როგორც წარსულში, კასპიის ნავთობის გამო იბრძოდა უამრავი ქვეყანა, მათ შორის, აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, თურქეთი. თუმცა აზერბაიჯანმა და საქართველომ მოახერხეს და ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს – აზერბაიჯანმა, როგორც გაზისა და ნავთობის მომპოვებელმა, ხოლო საქართველომ, როგორც სატრანსპორტო ქვეყანამ. დღეს გვაქვს შანსი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანა გავხდეთ მწვანე წყალბადის მომავალ ბაზარზე, რომელიც უდიდესი ბაზარი იქნება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველაფერი ეს, სტრატეგიულად უნდა გავიაზროთ.

გარდა ამისა, როდესაც ცალსახად, ჰესებზე უარს ვამბობთ, ამით თითოეული იმ კუთხის ეკონომიკურ განვითარებას ვუშლით ხელს, სადაც ეს ჰესები უნდა აშენდეს! გარდა ამისა, ძალიან ღარიბი ქვეყანა ვართ, რომ ასეთი რესურსის ათვისებაზე უარი ვთქვათ და ჩვენი ეკონომიკა არ განვავითაროთ.

– „რიონის მცველები“ ფიქრობენ, რომ ნამახვანჰესის მშენებლობა ლეჩხუმის კლიმატს შეცვლის, რასაც მიწისძვრები, მეწყერი მოჰყვება, ხოლო კაშხლები დაინგრევა და სოფლები დაიტბორება...

– არ შეიძლება ადამიანების შეშინება, რომ კაშხალი დაინგრევა. ბოლო 60 წელია, ბეტონის კაშხლები მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ დანგრეულა – ეს არის დღევანდელი, თანამედროვე, საუკეთესო საინჟინრო დარგი. მიწისძვრების დროს იაპონიაში, ჩილეში, ჩინეთში, ირანში და სხვა ქვეყნებში ბეტონის გრავიტაციული კაშხლები არ დანგრეულა! ამის მიუხედავად, ნებისმიერი ჰიდროსადგურის მშენებლობის დროს, პროექტირების ეტაპზე, სპეციალისტები კაშხლის დანგრევის მოდელირებას ახორციელებენ და ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ისეთი სისტემა დანერგონ, რაც უსაფრთხოებისთვისაა აუცილებელი.

ყოველთვის აღვნიშნავ, რომ დიხ, პრობლემები გვქონდა და ამაზე საუბარს არ გავურბივარ – საქართველოში, რამდენიმე სადგურზე ავარია მოხდა, მაგრამ ეს ყველაფერი დეტალურად შევისწავლეთ. ამან მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ აუცილებელია, ასეთი ნაგებობების საზედამხედველო ფუნქცია გაძლიერდეს. მეტიც, კონცეპტუალურად ახალი მიდგომაა საჭირო, რაც ნიშნავს, რომ მაღალი რისკის ნაგებობების კონტროლი უნდა განხორციელდეს, როგორც პროექტირების, ასევე, მშენებლობისა და მშენებლობის დასრულების ეტაპებზე. მუდმივი კვლევებია საჭირო, მაგრამ ხელაღებით იმის თქმა, რომ ჰესები არ გვინდა ქვეყანაში, არ შეიძლება! ეს ქვეყნის ეკონომიკას საშინელ დარტყმას მიაყენებს, საქართველოს ეკონომიკა კი ამას ვერ გაუძლებს.

– პირდაპირ გეტყვით, ლოზუნგი – „არა, დიდ ჰესებს!“ – რუსული ნარატივის შედეგი მგონია.

– ენერგეტიკა ის სფეროა, რომელიც ჰიბრიდული ომების ერთ-ერთი მიმართულებაა. მსოფლიოში ძალიან ბევრი მაგალითებია, როდესაც არაკეთილგანწყობილი ქვეყნები ნამდვილად ხელს უშლიან ენერგეტიკის განვითარებას. სხვათა შორის, ყველა ქვეყანა ცდილობს, ენერგეტიკული გავლენის მოპოვებას და ამ ომში, ჩვენ თავი უნდა დავიცვათ. დღეს, ელექტროენერგიის იმპორტის ნაწილში, 70%-ზე მეტით, მეზობელ ქვეყნებზე ვართ დამოკიდებულნი. მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა განსაზღვრავს დენის ტარიფს საქართველოში, საბოლოო ჯამში, კი დენის და სხვა ენერგომატარებლების ტარიფი პროდუქტების ფასებზეც აისახება.

შესაბამისად, ჰიდროენერგეტიკის განვითარება უმნიშვნელოვანესია. კიდევ ერთხელ, ძალიან ვთხოვ ყველას – ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგეებსაც და მომხრეებსაც, რომ რაციონალური გამოსავალი ვიპოვოთ! მართალია, უფასო საუზმე არ არსებობს ანუ შესაძლოა, ჰესების მშენებლობას ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი რისკები ახლავს, მაგრამ ამ საკითხების შესწავლით, ამ რისკების მინიმუმამდე შემცირება შეიძლება. ნახეთ, მსოფლიოს წარმატებული ქვეყნები, იგივე, იაპონია, რამდენ ახალ ჰესს აშენებს! იაპონიაში უამრავი მიწისძვრაა, ინდო-ჩინეთში უამრავი ქვეყანაა, სადაც აქტიური ვულკანებია, მაგრამ ეს ქვეყნები ჰესებს აშენებენ.

– ბატონო დათო, როდის დასრულდება ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

– აპრილის ბოლოს დასრულდება და მაისის პირველ ნახევარში დაიწყებს ფუნქციონირებას, რაც დიდი შეღავათი იქნება საქართველოს ენერგოსისტემისთვის. ენგურჰესის გარეშე, სისტემის ფუნქციონირება ძალიან რთულია და ეს ორიოდე დღის წინ, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ავარიულმა გათიშვამაც დაადასტურა. დღეს რომ ენგურჰესი და ჟინვალჰესი არ გვქონდეს, რა მოხდებოდა, იცით? ენგურის გარეშე – ქვეყანა დენის, ხოლო ჟინვალის გარეშე – ამ ქვეყნის დედაქალაქი წყლის გარეშე იქნებოდა.

საქართველოში აუცილებლად უნდა აშენდეს რამდენიმე წყალსაცავიანი ჰესი. მეტსაც გეტყვით, წყლის შენახვის პრობლემაზე არ მისაუბრია, რაც შემდგომი 10-15 წლის განმავლობაში, ძალიან მნიშვნელოვანი გახდება. ჰესების წყალსაცავებში შენახული წყალი უმნიშვნელოვანესი რესურსი იქნება არა მარტო ელექტროენერგიის, არამედ, სასმელი წყლის თვალსაზრისითაც.

სამართალი

№8 24 მარტი 2021 წ

სერიული გაუპატიურებები თბილისში

ბათო ჯაფარიძე

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დასასვენებლად აჭარაში დადის. ზღვა და მზე ყველას იზიდავს, თუმცა იყო პერიოდი, როცა აჭარას ნაკლებად ეტანებოდნენ, როგორც ადგილობრივები, ისე სტუმრები. მთავარი საზღვაო კურორტი ულამაზესი აფხაზეთის სანაპირო იყო _ გაგრა, ბიჭვინთა... რიწის ტბაზე მოხვედრა ხომ, საერთოდ, ზღაპარი გახლდათ. სამწუხაროდ, ეს ულამაზესი მხარე საქართველოს იურისდიქციას დროებით აღარ ექვემდებარება და რუსეთის მიერაა ოკუპირებული. დასასვენებლად მიდიოდნენ არა მარტო რიგითი ადამიანები, არამედ, კრიმინალებიც. უფრო ზუსტად, ისინი „სამუშაოდ“ მიდიოდნენ და დამსვენებლებს ქურდავდნენ, ძარცვავდნენ, აყაჩაღებდნენ. ეს ადგილი სამოთხე იყო უცოლო კაცებისთვისაც, რადგან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული გოგონები მათ ანდამატივით იზიდავდა. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ აფხაზეთში დაიწყო და საქართველოს დედაქალაქში, ძალიან უცნაურად გაგრძელდა.

ვინ არის მოძალადე, რომელიც მომაკვდინებელ ვენერიულ დაავადებას შეგნებულად ავრცელებდა

1982 წლის ზაფხულში, მილიციის განყოფილებაში შეტყობინება შევიდა – 40 წლის ქალი გააუპატიურესო. გაუპატიურება სკვერში მაშინ მოხდა, როცა ქალი შინ ბრუნდებოდა. მას თავში აგური ჩაარტყეს, გათიშეს და სანამ აზრზე მოვიდოდა, გააუპატიურეს. ერთ-ერთი საწარმოს რიგითი მუშა, ქმარ-შვილიანი ქალი, ნამდვილად არ იყო ისეთი შეხედულების, ვინმე განსაკუთრებულად გადარეულიყო. სამსახურშიც დადებითად დაახასიათეს, მეზობლებმაც მის პატიოსნებაზე თავი დადეს, თუმცა სამი დღის შემდეგ, ექსპერტიზამ საშინელი დასკვნა დადო – ქალთან კონტაქტი იმ მამაკაცს ჰქონდა, რომელსაც სიფილისი სჭირდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მედიცინა იმ დონეზე განვითარებული, რომ სიფილისისთვის დროულად და მარტივად ემკურნალათ...

ორი დღის შემდეგ, კინოსეანსიდან შინ მიმავალი 19 წლის გოგონა სადარბაზოში შესვლისთანავე გათიშეს, ლიფტში შეათრიეს და გააუპატიურეს. სამართალდამცავებმა ეს ორი შემთხვევა ერთმანეთს არ დაუკავშირეს, რადგან გოგოს მამა ერთ-ერთ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, პოლკოვნიკის ჩინით, რეჟიმის უფროსად მსახურობდა. ამიტომ, იფიქრეს, რომ მასზე შური რომელიმე განაწყენებულმა პატიმარმა იძია და სამაგიერო ასე გადაუხადა. იმ კოლონიიდან ბოლო ერთ წელიწადში გათავისუფლებული პატიმრები გადაამოწმეს, მაგრამ ეჭვი ვერავისზე მიიტანეს. ამასობაში, ექსპერტიზამ მორიგი დასკვნა დადო – გოგონა გააუპატიურა მამაკაცმა, რომელსაც სიფილისი ჰქონდა და რაც მთავარია, სისხლის ჯგუფი პირველი შემთხვევის იდენტური იყო. ორი გაუპატიურება და ორივე ერთი და იმავე პირის მიერ, უკვე სერიას ნიშნავდა. სამართალდამცავები ფიქრობდნენ, რომ საქმე მანიაკთან ჰქონდათ, მაგრამ სამი თვე ისე გავიდა, ანალოგიური შემთხვევა აღარ მომხდარა. სამი თვის შემდეგ კი...

„ორსულ ცოლსა და სიდედრთან ერთად, სკვერში, სუფთა ჰაერზე ვსეირნობდი. მოულოდნელად, ცოლს მუცელი ასტკივდა და სიდედრმა თქვა, სავარაუდოდ, მშობიარობა ეწყებაო. რადგან ღამე იყო და ვერავის დავუძახებდი დასახმარებლად, ცოლი და სიდედრი სკვერში, სკამზე დავტოვე, მე კი უახლოესი ტელეფონისკენ გავიქეცი და სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახე. უკან დაბრუნებულს საოცარი სურათი დამხვდა – ჩემი სიდედრი მიწაზე ეგდო, ცოლს კი ვიღაც ტანსაცმელს ახევდა. ჩემს დანახვაზე თავდამსხმელი გაიქცა, არ გავეკიდე, რადგან ცოლი ბოლო ხმაზე კიოდა და შველა სჭირდებოდა. სასწრაფო მალე მოვიდა. სიდედრს თავში ბლაგვი საგანი ჰქონდა ჩარტყმული და შემდეგ მეუღლემაც დაადასტურა, რომ მამაკაცი უკნიდან მოეპარათ, სიდედრი გათიშა, ჩემი მეუღლის გაუპატიურება კი მხოლოდ იმიტომ ვერ მოახერხა, რომ მე დამინახა“, – ეს არის ამონარიდი ჩვენებიდან, რომელიც ერთ-ერთმა მამაკაცმა გამოძიებას მისცა.

მილიციის ბედად, იმის მიუხედავად, რომ ღამე იყო, სკვერი კარგად გახლდათ განათებული და მამაკაცმაც და ქალმაც თავდამსხმელის აღწერა შეძლეს. ის იყო მაღალი, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი აღნაგობის, ხშირი შავი თმით და გრძელი ნიკაპით. გარდა იმისა, რომ სამართალდამცავებმა კარტოთეკა გადაათვალიერეს, სამედიცინო დაწესებულებებიდანაც ამოიღეს ცნობები იმის გასარკვევად, თუ ვინ მკურნალობდა სიფილისზე, მაგრამ საეჭვო ვერავინ ნახეს.

ერთ კვირაში, დედაქალაქში მორიგი გაუპატიურება მოხდა – ამჯერად 37 წლის ქალი, ოთხი შვილის დედა გააუპატიურეს. ხელწერა იგივე – საღამოს შინ მიმავალი, პროდუქტებით დატვირთული ქალი, თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით გათიშეს და იძალადეს. სამართალდამცავები ექსპერტიზის დასკვნას აღარ გაუოცებია – მოძალადეს სიფილისი ჰქონდა!

ძიების პარალელურად, ფსიქოლოგებმა შეიმუშავეს დამნაშავის ფსიქოლოგიური პორტრეტი. მათი თქმით, მოძალადემ იცოდა, რომ დაავადებული იყო და ამიტომ, სულ ერთი გახლდათ, ვისთან ექნებოდა სქესობრივი კონტაქტი. ის გაბოროტებული იყო, თავი ჰქონდა გადადებული და ცდილობდა, რაც შეიძლება, ბევრი ადამიანი დაესნებოვნებინა. რაც მთავარია, დაავადებული კაცი დედაქალაქში აღრიცხვაზე არ იყო და ივარაუდეს, რომ შესაძლოა, ის სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი ყოფილიყო და თავად მიმხვდარიყო, რაც სჭირდა.

დაიწყო ექიმების გადამოწმება. მაშინ ამ სფეროში იმდენად ცოტა სპეციალისტი იყო, რომ ყველა ერთ დღეში გადაამოწმეს, მაგრამ უშედეგოდ.

მორიგი მსხვერპლიც მალე გამოჩნდა – ახალგაზრდა ქალს მოძალადე სადარბაზოში დახვდა, მაგრამ მან მოტრიალება მოასწრო და თავისკენ წასული აგური აიცილა, შემდეგ მამაკაცს ხელი ჰკრა და კიბეზე დაადგორა. ხმაურზე მეზობლები გამოვარდნენ, ატყდა ერთი ამბავი, კიბეზე დაგორებულმა მამაკაცმა კი გაქცევა ვეღარ შეძლო – ორი ნეკნი გაუტყდა, ფეხი იღრძო და წამოდგომას ვერ ახერხებდა. დაახლოებით, ათ წუთში, ადგილზე მილიციის მანქანაც მივიდა. დაკავებული მოწინავე მუშა აღმოჩნდა, ე.წ. სტახანოველი, რომელიც დღე-დღეზე, საბჭოთა კავშირის შრომის გმირობაზე უნდა წარედგინათ.

„ვიცოდი, რომ გმირობაზე უნდა წარვედგინე. მითხრეს, მაქსიმუმ, ექვს თვეში ყველაფერი მოგვარდებაო. მანამდე კი საგზური მომცეს და დასასვენებლად აფხაზეთში გამიშვეს. იქ ერთი ქალი გავიცანი, რომელთანაც ორი კვირა გავატარე. როცა შინ მოვდიოდი, მითხრა, ბოდიში, მგონი რაღაც დაავადება მჭირს, აქ სამკურნალოდ ვარ ჩამოსული, ექიმებმა სხვა რამ მითხრეს, აქ სხვა რამ დამიდგინდაო. ავიჭერი, საავადმყოფოში წავედი და სიფილისის განაჩენიც იქ გამომიტანეს. ეს ჩემთვის არა მარტო სასიკვდილო შეტყობინება იყო, არამედ, საბჭოთა კავშირის შრომის გმირის წოდებასაც უნდა დავმშვიდობებოდი. თუ ექიმთან ვივლიდი, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ საბჭოთა მოქალაქისთვის შეუფერებელ ცხოვრებას ვეწეოდი, თუ არადა, იმაზე მალე მოვკვდებოდი, ვიდრე სიფილისით დაავადებულნი კვდებიან. გადავწყვიტე, ექიმთან არ მევლო, გმირის დამსახურებული მედალი მიმეღო და ქალებზე შური მეძია. მსურდა, მათაც გადადებოდათ ის დაავადება, რაც მე უცნობმა ქალმა, ჩემი აზრით, შეგნებულად ამკიდა“, – ეს არის ამონარიდი დაკავებულის ჩვენებიდან.

რა თქმა უნდა, დამნაშავეს გმირის წოდება აღარ მიანიჭეს. სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ისედაც ცხადი იყო, რომ ის 11 წელს ვერ მოიხდიდა. რამდენიმე თვეში, მოძალადე ციხის საავადმყოფოში... სიფილისით გარდაიცვალა.

უკრაინაში ორი ქართველი „კანონიერი ქურდი“ დააკავეს

გასულ კვირას, ოდესელმა სამართალდამცავებმა, ე.წ. კანონიერ ქურდებზე ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს. 17 და 18 მარტს, ერთდროულად რამდენიმე სპეცოპერაცია ჩატარდა და უკრაინის ეროვნულმა პოლიციამ არაერთი კრიმინალი დააკავა, მათ შორის „კანონიერი ქურდებიც“ არიან.

„ჩვენს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დაკავებულია კრიმინალური დაჯგუფებების რამდენიმე წევრი, მათ შორის არიან „კანონიერი ქურდები“ – ლევან მირცხულავა (მეტსახელად, „ლევან სოხუმსკი“) და მამუკა ჩხაბერიძე (მეტსახელად, „ხონსკი“). მირცხულავას ბრალი უკრაინაში ჩადენილ დანაშაულებში ედება, რაც კრიმინალური ბანდ-ფორმირების შექმნაში, ფულის გამოძალვასა და რეკეტში გამოიხატება, ჩხაბერიძე კი უკრაინის ტერიტორიაზე წესების დარღვევით მოხვდა. მან საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა და უკრაინაში შემოსვლის უფლების გარეშე, ის დეპორტირებული იქნება“, – ეს განცხადება უკრაინელმა სამართალდამცავებმა გაავრცელეს.

საინტერესოა, რომ 2005 წელს, მირცხულავამ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. თუ უკრაინული მხარე მის ექსტრადიციას რუსეთის ფედერაციაში განახორციელებს, იქ არსებული წესების თანახმად, „კანონიერი ქურდის“ სტატუსის გამო, 10-წლიანი სასჯელი ელოდება. დაკავებულის ადვოკატების განცხადებით, ყველაფერს გააკეთებენ, რათა მათი დაცვის ქვეშ მყოფი, რუსეთის ნაცვლად, თურქეთში გაამგზავრონ. მიიღებს თუ არა თურქული მხარე მამუკა ჩხაბერიძეს, ჯერჯერობით, უცნობია.

ბათო ჯაფარიძე

ქმარმა ცოლს ჯერ ძილის წამალი დაალევინა, შემდეგ კი თბილისის ზღვაში დაახრჩო

ბათო ჯაფარიძე

ოჯახური დრამა, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა

ხშირი იყო შემთხვევები, როცა რომელიმე გახმაურებული საქმე გამოიძიეს, თითქოს ყველანაირი მტკიცებულებაც არსებობდა, მაგრამ საზოგადოებას მაინც ეგონა, რომ მსჯავრდებულის სკამზე სხვა იჯდა, თუმცა „ზემოდან“ ითხოვდნენ, რომ საქმეში დიდი კითხვის ნიშნები არ ყოფილიყო და რაც მთავარია, გასამართლებული პირი პრესას არ დაეცვა. ხომ ხვდებით, პრესას რომ ვწერთ, რას ვგულისხმობთ? – მაშინ, კომუნიზმის მშენებლობის დროს, მთავარი გაზეთი „კომუნისტი“ გახლდათ და ის საბჭოთა მოსახლეობას მხოლოდ კარგ ამბებს ამცნობდა. გაზეთის გვერდები კომპარტიის ყრილობაზე გამომსვლელთა ხანგრძლივ მონოლოგებს ეთმობოდა, იყო შეჯიბრი, თუ ვინ და რამდენი ხუთწლედით უსწრებდა დროს. აი, გაზეთში რომ დაებეჭდათ, საბჭოთა სასამართლომ ვინმე არასწორად გაასამართლაო, საამისოდ ძალიან, ძალიან სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონოდათ და რაც მთავარია, ყველაფერი ეს, მინიმუმ, ადგილობრივი ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ყოფილიყო შეთანხმებული.

თითქოს, ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო. მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა, რომელმაც თქვა, რომ თბილისის ზღვაზე, ცოლთან ერთად, პიკნიკისთვის წავიდა, თან გასაბერი ნავიც წაიღეს. ღამით დაიძინა, დილით კი ვერც ცოლი ნახა და ვერც – ნავი. ძილის წინ, ცოლმა რამდენჯერმე შესთავაზა, ღამით შევიდეთ ზღვაშიო, მაგრამ ქმარმა უარი უთხრა. კაცი ვარაუდობდა, რომ როცა ჩაეძინა, ცოლი მაინც შევიდა წყალში, ნავი ამოუყირავდა და დაიხრჩო.

„ადგილზე მაშინვე გავიდნენ მაშველები – მყვინთავები, სასწრაფო დახმარების მანქანა, სამართალდამცავები, ვერტმფრენიც კი, რადგან ზემოდან დაეთვალიერებინათ თბილისის წყალსაცავი. წესითა და რიგით, რეზინის ნავი არ უნდა ჩაძირულიყო, თუმცა ვერაფერი ნახეს. ზღვის ზედაპირზე არც ქალის კვალი ჩანდა, არც – ნავის. საქმეში მყვინთავები ჩაერთვნენ, თუმცა უშედეგოდ. ადგილ-ადგილ, თბილისის წყალსაცავი 40 მეტრის სიღრმისაც კი არის და იქამდე ჩაყვინთვა შეუძლებელია“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ძებნა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. იმის იმედი, რომ მესამე დღეს, წყალი გვამს ამოაგდებდა, არ გამართლდა. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქალს რაიმე სიმძიმე შეაბეს და წყალში ისე ჩააგდეს. მთავარ ეჭვმიტანილად კი ქმარი გამოაცხადეს, თუმცა მან ხელები გაშალა – დილით ერთი მეთევზე ვნახე, რომელიც მეორე ნაპირზე თევზაობდა და მან მითხრა, დავინახე, როგორ შევიდა შენი ცოლი ღამე, ზღვაში მარტო, თანაც ნავითო და გეზი შუა წყლისკენ აიღოო. ეს უკვე ალიბი იყო, რადგან თუ ქალი მარტო იყო, მაშინ ქმარზე ეჭვი ტყუილად მიჰქონდათ. სამართალდამცავებს ახლა ის მეთევზე უნდა მოეძებნათ და ქმართან ერთად, ზღვაზე რამდენიმე დღე იარეს.

მეშვიდე დღეს, კაცმა მეთევზე იცნო, სწორედ ეს იყო, ჩემი ცოლი რომ დაინახაო. ასაკიანი კაცი დასაკითხად წაიყვანეს, მან კი...

„იმდენად სასოწარკვეთილი იყო, შემეცოდა და მოვატყუე. არავინ დამინახავს. ვიფიქრე, სადღაც იქნება გაპარული, ქმარს ეთამაშება, ანერვიულებს-მეთქი. ბოდიშს გიხდით, რომ მოვიტყუე, არ მეგონა, თუ საქმე ასე სერიოზულად იყო“, – აღმოხდა მეთევზეს.

მთავარ ეჭვმიტანილად კვლავ ქმარი იქცა, მაგრამ როგორც იქნა, წყალმა გვამი გამორიყა. მას ძალადობის ნიშანები არ ეტყობოდა, სისხლის ანალიზმაც აჩვენა, რომ ორგანიზმში არც საწამლავი იყო, არც – ალკოჰოლი. ეს იმის მიუხედავად, რომ ქმარი ამტკიცებდა, ძილის წინ, ას-ასი გრამი კონიაკი მოვწრუპეთო. საქმე უბედური შემთხვევის სტატუსით უნდა დახურულიყო, მაგრამ...

„მოულოდნელად, სამინისტროდან დარეკეს და კატეგორიულად მოითხოვეს, ნავი მოგვეძებნა ანუ ჩაძირული რეზინის ნავი ნებისმიერ ფასად უნდა გვენახა. ვერც სამინისტროს გაჯიუტების მიზეზს მივხვდი და ვერც – იმას, როგორ უნდა ამოგვეღო 40 მეტრის სიღრმიდან რეზინის ნავი, თუმცა შესაბამისი სპეციალისტები ჩართეს, სპეციალურ კაუჭებზე სიმძიმეები მოაბეს, ფსკერამდე გრძელი თოკებით ჩაუშვეს და ალალ-ბედზე, ნავის ძებნის პროცედურა დაიწყეს. გამიკვირდა, მაგრამ სამ საათში, კაუჭი ნავს წამოედო და ნაპირზე ამოვათრიეთ. რამდენიმე ადგილზე, ნავი გახეული იყო ანუ კაუჭის გამოდების შედეგად დაზიანდა, თუმცა შუაგულში, ორ ადგილას, დანით გაჭრილი გახლდათ. გაჭრილი ადგილები აშკარად ძველი გაკეთებული იყო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, სწორხაზოვან ჭრილს ჩვენი კაუჭი ვერ გააკეთებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ნავის დათვალიერების შემდეგ, სამართალდამცავებმა ქმრის სახლი გაჩხრიკეს და ხელნაკეთ დანას მიაგნეს. კაცს არ დაუმალავს, რომ იმ დღეს, დანა თან ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ კონსერვის გასახსნელად გამოიყენა. სამაგიეროდ, ნავზე აღმოჩენილი გაჭრილი ადგილი, დანის პირს ასი პროცენტით ემთხვეოდა. გამომძიებლებმა დაკითხეს წყვილის ყველა ნაცნობი და მეგობარი, ყველა თანამშრომელი (ისინი ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, ერთად მუშაობდნენ) და გაარკვიეს, რომ ბოლო დროს, წყვილს სერიოზული უთანხმოება ჰქონდა, მიზეზი კი ქმრის მუდმივი ღალატი იყო. გარდაცვლილმა რამდენჯერმე სახლშიც კი მიუსწრო ქმარს, როცა ის სხვა ქალთან ერთად ნებივრობდა. ეს სავსებით საკმარისი გახლდათ, რომ ქმარი დაეკავებინათ და საქმე სასამართლოში გადაეგზავნათ.

„ბრალდებულის სახლში აღმოვაჩინეთ ბოთლი, სადაც საძილე წამალი იყო. მას საკმარისი ოდენობა აკლდა და ვივარაუდეთ, რომ მან ცოლი დააძინა, შემდეგ ნავი დანით გაჭრა, მძინარე ქალი შიგნით ჩააწვინა და ზღვაში შეაცურა. წყალი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც აივსო ისე, რომ ნავი ჩაიძირა. ექსპერტებმა დაადასტურეს, გვამი იმდენ ხანს იყო წყალში, ადვილი შესაძლებელი გახლდათ, სხეულიდან ყველანაირი ნივთიერება განდევნილიყო და ის წყალს შეევსო. აკი, ვერც ალკოჰოლის კვალი იპოვეს და ეს, იმის მიუხედავად, რომ ქმარი ამტკიცებდა, კონიაკი დავლიეთო.

სასამართლო მალე დასრულდა და იმის მიუხედავად, რომ ბრალდებული ყველაფერს უარყოფდა, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

განაჩენის გამოცხადებიდან ორ დღეში, „კომუნისტში“ დაიწერა არცთუ მცირე ზომის სტატია, სადაც ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ სასამართლო შეცდა და მართალი ადამიანი ციხეში 15 წლით გაუშვა. ეს უკვე უდიდესი სკანდალი იყო. ტირაჟი დახლებიდან მალე გააქრეს, მაგრამ რად გინდა – ლამის, მთელ საქართველოს კომუნისტი გამოწერილი ჰქონდა (არ გამოიწერდნენ და მათი აჯობებდა). ეს სტატია საკმარისი აღმოჩნდა, რომ საქმე სააპელაციო სასამართლოში წასულიყო. ამჯერად, ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, მსჯავრდებული მაინც დამნაშავედ სცნეს და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი – 15 წელი, ძალაში დატოვეს.

„მაშინ შემთხვევით არაფერი ხდებოდა. იმასაც მივხვდი, რომ გაზეთში ასეთი რამის დაწერას ვერ გაბედავდნენ. მოვიკითხე და ჭორად თქვეს, ამ კაცმა რაღაც აღმოაჩინა, თუმცა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა მიითვისა და ამის გამო, ერთმანეთში მტრობა ჰქონდათო. სწორედ დირექტორის ინტერესი იყო, კაცი ხანგრძლივად გაეშვათ ციხეში და საამისოდ ყველაფერი გააკეთაო, თუმცა მას ზედა ეშელონებში, მეგობრების გარდა, მტრებიც ჰყავდა და ის საგაზეთო სტატიაც, სწორედ მტრებმა გაიტანეს კბილებით. დღესაც მჯერა, რომ დამნაშავე ჩავსვით ციხეში, რადგან თუნდაც ნავი ამოყირავებულიყო და უბედური შემთხვევა მომხდარიყო, გარდაცვლილის ყველა მეგობარი თუ ნაცნობი ამტკიცებდა, რომ ქალი საოცრად ცურავდა ანუ ის ზღვიდან გამოსვლას შეძლებდა. ეგ კი არა, წლების მერე, ერთ-ერთმა კოლეგამ, რომელიც უკვე პენსიაზე იყო და არცთუ იშვიათად, სწორედ თბილისის ზღვაზე დადიოდა სათევზაოდ, მითხრა, ის კაცი ვნახე, ცოლის მკვლელობაზე 15 წელი რომ მიუსაჯეს, ამოსული იყო, ზღვის ნაპირთან იდგა, შემდეგ, ყვავილებისგან შეკრული მცირე თაიგული წყალში შეაცურა და წავიდაო“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

თაღლითობა ესტრადის მომღერლების სახელით

ბათო ჯაფარიძე

ერთი შეხედვით, კომუნიზმის მშენებლობის დროს, მასშტაბური აფერის წამოწყება და განხორციელება წარმოუდგენელი ჩანდა. მაშინდელი უშიშროება ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა და არც მილიციას ეძინა. ამის მიუხედავად, განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანები მაინც ახერხებდნენ, როგორც სამართალდამცავთა, ისე – რიგითი ადამიანების გაოცებას.

როგორ გადაურჩა ტულაში სიკვდილს ქართველი სამართალდამცავი და როგორ გავიდა მილიცია დამნაშავეზე

„მილიციაში მუშაობა რთული და საპასუხისმგებლო გახლდათ, მაგრამ პრივილეგიებიც გვქონდა. საგზურები – ურიგოდ, ავტომანქანის რიგშიც წლობით არ ვწვალობდით და არც ბინის რიგი იყო უაზროდ გაწელილი. ამავდროულად, ცეცხლსასროლი იარაღი მუდმივად გვქონდა და რაც მთავარია, მილიციელის ჩინი უფლებას გაძლევდა, სერიოზული სანადირო თოფი გეყიდა. სწორედ ამ მიზნით, შვებულება ავიღე და ორი კვირით, ტულაში წავედი. მეუღლეც წავიყვანე, რათა დასვენება ოჯახურ გარემოში შემძლებოდა და იმის იმედიც მქონდა, რომ ტულის იარაღის ქარხანაში, რომელიც არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ, მთელ მსოფლიოში იყო განთქმული, რაიმე განსაკუთრებულ თოფს შევიძენდი. ამბობდნენ, იქ ცალკე საცავია, სადაც სპეცშეკვეთით დამზადებული თოფები იყიდებაო და არც თუ უსაფუძვლოდ. რამდენიმე კოლეგასთან, განსხვავებული თოფები ნანახი მქონდა და ისიც ვიცოდი, ვინ უნდა მენახა, რა უნდა მეთქვა და რამდენი უნდა გადამეხადა „ლევად“. ჰო, მე, მილიციის კაპიტანს, ქრთამი უნდა მიმეცა“, – გვიყვება ძალიან საინტერესო და სახალისო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდა იმისა, რომ ტულაში, ლამის ნახევარი ქალაქი, სწორედ იარაღის ქარხანაში მუშაობს და იქ ნაწარმოები ცეცხლსასროლი იარაღი მთელ მსოფლიოშია განთქმული, ქალაქის მოსახლეობა თავს თაფლაკვერით („პრიანიკი“) იწონებს. იქ ამ ნუგბარს განსაკუთრებული რეცეპტით აკეთებენ და ასე განსაჯეთ, ქალაქში, მსოფლიოში ერთადერთი თაფლაკვერის ძეგლიც კი დგას.

„მოდით, მე „პრიანიკს“ ვიტყვი იმიტომ, რომ მთელი ბავშვობა „პრიანიკს“ ვჭამდი, თანაც საქართველოში, ხომ იცით, როგორ აკეთებდნენ? რეზინასავით უნდა დაგეღეჭა და თუ დაძველდებოდა, კბილები უნდა მიგემტვრია. იქ კი მართლა განსაკუთრებული გემო ჰქონდა და სხვადასხვანაირი შიგთავსით ამზადებდნენ. იყო რამდენიმე ადგილი, სადაც ცხობის პროცესს უყურებდი და თბილ ნუგბარს ჭამდი. მოკლედ, მე და ჩემი მეუღლე კარგად ვერთობოდით, როცა ნამდვილი ჯოჯოხეთი დაიწყო. ერთ დილას, ქალაქში სეირნობის დროს, რამდენიმე ადგილზე, ცნობილი რუსი მსახიობისა და მომღერლის, ლუდმილა გურჩენკოს სურათიანი აფიშები გამოჩნდა. აფიშებით ადგილობრივებს აუწყებდნენ, რომ სამი დღის განმავლობაში, გურჩენკო კონცერტს გამართავდა. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ვიდრე გურჩენკო, როგორც მსახიობი, ისე გახდებოდა ლეგენდა, არცთუ ურიგო მომღერალი იყო. მას თავისი ჯგუფი ჰყავდა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით, კონცერტებს მართავდა. ცოლი გადამეკიდა, გინდა თუ არა, ბილეთი უნდა იშოვოო და სალაროში რომ მივედი, დამცინეს, მხოლოდ გადამყიდველებთან თუ ნახავ, ჩვენამდე არც მოუტანიათო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გადამყიდველებთან ბილეთების ფასი 30 მანეთიდან იწყებოდა. ტულას საკონცერტო დარბაზი 4 000 მაყურებელს იტევდა ანუ ხომ ხვდებით, რა თანხებზე იყო საუბარი, თანაც გურჩენკოს თაყვანისმცემლები ცდილობდნენ, ბილეთები სამივე დღისთვის შეეძინათ. შეყვარებულ ბიჭებს, გოგოებისთვის სიყვარული რომ დაემტკიცებინათ, კონცერტის ბილეთი უნდა ეჩუქებინათ. ასეთ პირობებში, ბატონი თენგიზი იძულებული გახდა, ადგილობრივი სამართალდამცველებისთვის მიემართა და მათთვის ეთხოვა, ეგებ, ორი ბილეთი მიშოვოთ, უცხო კაცს რომ მხედავენ, 30-ის ნაცვლად, 100 მანეთად მაჩეჩებენო. კოლეგებმა უთხრეს, ფული ტყუილად არ გადაყარო, გურჩენკო არ ჩამოდის, აფერისტების ჯგუფია, სხვადასხვა ქალაქში დადიან, აფიშებს აკრავენ, ხან გურჩენკო ჩაჰყავთ, ხან – პუგაჩოვა, ბილეთებს ჰყიდიან და ფულთან ერთად ქრებიანო.

„მაშინვე ვიკითხე, გადამყიდველებიც მაგათი ხალხია და რატომ არ აკავებთ-მეთქი, მაგრამ დამამშვიდეს, მეთაური კონცერტის დღეს ჩამოდის, ფულს ანაწილებს და შემდეგ ქრება, იმის ჩამოსვლას ველოდებითო. ვთხოვე, აყვანის ოპერაციაში თუ მონაწილეობას არ მიმაღებინებთ, მაყურებინეთ მაინც-მეთქი და უარი არ უთქვამთ. ჩემთვის – გამოცდილება, იმათთვის კი ერთი ზედმეტი და თან მათ მხარეს მყოფი, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი კაცი მისწრება იქნებოდა. ცოლს გული დასწყდა, გურჩენკოს ვერ ვნახავო, მე კი კონცერტის დღეს, გაზეთით ხელში, ვაგზალზე ვიდექი და იმ მატარებელს ველოდი, რომლითაც აფერისტთა მეთაური უნდა ჩამოსულიყო. აყვანას არ ჩქარობდნენ, რადგან მეთაური დაჯგუფების სხვა წევრებს კონსპირაციულ ბინაში უნდა შეხვედროდა, სადაც ფულს გაანაწილებდა. ვიცოდით, რომ ჩვენთვის საინტერესო ობიექტს გრძელი ლაბადა ეცვა და ცილინდრი ეხურა. ვაგონიც ვიცოდი და გამოვიდა თუ არა, მაშინვე თვალში მომხვდა, მაგრამ თვალში ისიც მომხვდა, როგორ არაპროფესიონალურად მოქმედებდნენ ჩემი კოლეგები. შტერი უნდა ყოფილიყავი, რომ ვერ შეგემჩნია თვალთვალი და აკი, მანაც შენიშნა. აჩქარებული ნაბიჯით წავიდა გასასვლელისკენ, გზად ლაბადა გაიხადა, ცილინდრიც ზედ მიაყოლა, სანაგვეში ჩაკუჭა და გზა გააგრძელა. აზრი აღარ ჰქონდა თვალთვალს, უნდა აგვეყვანა და რადგან ყველაზე ახლოს მე ვიყავი, წინ ღიმილით გადავუდექი და მართალია, ქართული, მაგრამ მაინც მილიციელის მოწმობა გავუშალე“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რაც შემდეგ მოხდა, არავინ ელოდა. ეჭვმიტანილმა სახელოდან ბებუთი გამოაძრო და ქართველ სამართალდამცავს მუცელში ხელის ერთი მოქნევით გაუყარა. აფერისტისგან ამას არ ველოდიო, მოგვიანებით იტყვის ბატონი თენგიზი. სამართალდამცავთა ნაწილი ქართველ კოლეგას ეცა და საავადმყოფოში გააქანა, ნაწილი კი გაქცეულს დაედევნა. იმის მიუხედავად, რომ სპეცოპერაციაში მონაწილეობას 30-მდე სამართალდამცავი იღებდა, ეჭვმიტანილმა მიმალვა მოახერხა. მილიციამ აგენტურული ქსელი აამუშავა, გადაიკეტა ქალაქიდან გასასვლელი ყველა გზა, ავტომობილებს ჩხრეკდნენ და საბარგულს ხსნიდნენ, 24-საათიანი კონტროლი დაწესდა მატარებლებზე, მაგრამ ნახევარმილიონიან ქალაქში, ერთი კაცის მოძებნა ძნელი იყო. სამართალდამცავებმა დააკავეს მთავარი ეჭვმიტანილის რამდენიმე მეგობარი, გაიგეს კონსპირაციული ბინის მისამართი, მაგრამ იქ არავინ გამოჩენილა. რაც მთავარია, დამნაშავეებმა უფროსისთვის ვერ მოასწრეს ფულის გადაცემა ანუ გამომძიებელთა გათვლით, მას თან დიდი თანხა არ უნდა ჰქონოდა და მაქსიმუმ, ერთ კვირაში, სწორედ უფულობის გამო, გარკვეული მოძრაობა უნდა დაეწყო. საბედნიეროდ, ქართველი კაპიტნის ჭრილობა სიცოცხლისთვის საშიში არ აღმოჩნდა, ექიმებმაც ივარგეს და მესამე დღეს, ის უკვე სახლში, უფრო სწორად, სასტუმროში გაწერეს, ერთი კვირის შემდეგ კი ოპერატიულ მუშაობაში ჩაერთო.

„ახლა უკვე პრინციპის საქმე იყო მისი დაკავება. ვიცოდი, ქალაქიდან გასვლას ვერ მოახერხებდა და ადრე თუ გვიან, წასასვლელად რამე უნდა მოემოქმედებინა. ამიტომ, მეც და მთელი შემადგენლობაც, პრაქტიკულად, 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით. მოსკოვიდან მითითება იყო მოსული, დამნაშავე უნდა დაგვეკავებინა, რადგან ცრუ კონცერტების ორგანიზებიდან, მთლიანობაში, 200 ათას მანეთზე მეტი ჰქონდა მითვისებული. ორი კვირის შემდეგ, კვანძი გაიხსნა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ორი კვირის შემდეგ, ერთ-ერთმა ინფორმატორმა თქვა, რომ ქალაქის გარეუბანში, მოხუც ქალს ახალი მდგმური ჰყავდა. იმის მიუხედავად, რომ მოხუცი ძლივს დადიოდა, ყოველ მესამე დღეს, პროდუქტების საყიდლად, სწორედ ის გამოდიოდა მაღაზიაში და არა – მდგმური. გამოდის, მდგმურს დასამალად ჰქონდა საქმე. სახლის თვალთვალი დაიწყო და მეორე დღეს დადასტურდა, რომ სამართალდამცავებისთვის საინტერესო კაცი, სწორედ იქ იმალებოდა. გადაწყდა, ის მაშინ აეყვანათ, როცა მოხუცი მაღაზიაში წავიდოდა, რადგან უკვე იცოდნენ, აფერისტი მკვლელობაზეც კი იყო წამსვლელი.

აყვანა უხმაუროდ მოხდა, მაგრამ ისიც გაირკვა, რომ უფულობა დაკავებულს არ ადარდებდა. ის მოხუცს დღეში 10 მანეთად მოურიგდა, თან იმ პირობით, რომ მაღაზიაში ქალი ივლიდა. მაშინ ეს დიდი ფული იყო და იმის მიუხედავად, რომ კაცს თან მხოლოდ 200 მანეთი ჰქონდა, თავი ადვილად გაჰქონდა. მან მისვლისთანავე, 20 დღის ფული ანუ მთლიანი თანხა ჩაუთვალა მოხუცს, შემდეგ დააკვირდა, სად ინახავდა ფულს და მაღაზიაში გაგზავნის წინ, სწორედ იმ შენახული ფულიდან აძლევდა პროდუქტებისთვის საჭირო თანხას. მის ამფსონებს, სასამართლომ 7-7 წელი მიუსაჯა, უშუალოდ მას კი – 12, რადგან აფერისტობასთან ერთად, დაჭრის მუხლითაც გაასამართლეს.

პოლიციამ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და გამოძალვის ფაქტებზე, ქვემო ქართლში, ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოსა და რუსთავის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ორი პირი დააკავეს.

1968 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ხ.პ.-სა და 1972 წელს დაბადებულ ე.ა.-ს, „ქურდული სამყაროს“ წევრობა და გამოძალვა ედებათ ბრალად. დანაშაულები 4-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ხ.პ. და ე.ა., „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ. ბრალდებული ხ.პ., სხვადასხვა პირის დაშინების გზით, პირადი და „ქურდული სამყაროსათვის“ მატერიალური სარგებლის მიღებას ცდილობდა. იგი საზღვარგარეთ მცხოვრები ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით, თავისი ნდობით აღჭურვილი პირის, მეორე ბრალდებულის – ე.ა.-ს შუამავლობით, სისტემატურად უკავშირდებოდა თანასოფლელს და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის, ასევე, ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით, „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ, თანხას სძალავდა.

პოლიციამ ორივე ბრალდებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავა.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და გამოძალვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლით და 181-ე მუხლით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ი.მ. დააკავეს. მას ბრალი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში ედება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, მიმდინარე წლის 18 მარტს, ღამით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში, ტრაქტორით შეეჯახა ქვეითად მოსიარულე თანასოფლელს – 1965 წელს დაბადებულ ნ.პ., რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ნ.პ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ო.რ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ო.რ., თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მონაკვეთზე იმ დროს დააკავეს, როცა მას საკუთარი ავტომანქანით უკანონო იარაღი გადაჰქონდა. პოლიციამ, ბრალდებულის ავტომანქანის ჩხრეკისას, 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 3 მჭიდი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 1000-მდე საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნიკოლოზ შარაძემ მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცა

მესაზღვრის დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ შარაძე, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პოლკოვნიკ გოჩა ჯანჯღავასთან ერთად, სასაზღვრო სექტორ „ლეკისყურეს“ ესტუმრა.

პოლკოვნიკმა ნიკოლოზ შარაძემ მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცა და სახელმწიფო საზღვრის დასაცავად გაწეული ერთგული და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა უწყების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ისაუბრა.

„შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, სასაზღვრო პოლიციის გაძლიერება, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია და, ამ კუთხით, 2020 წელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: გაუმჯობესდა სასაზღვრო ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო საზღვარი დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა, განვითარდა სასაზღვრო ავიაციის შესაძლებლობები და კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო, რომ გასულ წელს, აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით, აშენდა 4 სასაზღვრო სექტორი და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სექტორი „ლეკისყურეც“, რომლის ტერიტორიაზეც ახლა ვიმყოფებით, ერთ-ერთია ამ ოთხ სექტორს შორის. აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ვაგრძელებთ აქტიურ მუშაობას სასაზღვრო პოლიციის კიდევ უფრო გაძლიერებისა და მესაზღვრეების სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად“, – განაცხადა ნიკოლოზ შარაძემ.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოვა. მათ შორის, 5 მესაზღვრე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით „უმწიკვლო სამსახურისათვის“ დაჯილდოვდა.

გურიის პოლიციამ სოფელ ნატანებში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული რ.ა. დააკავეს.

მას ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 21 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, მშობლების საცხოვრებელ სახლში, ოჯახური კონფლიქტის დროს, მამას – 1960 წელს დაბადებულ ა.ფ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.ა. ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციის მიერ შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ხოლო დაკავებულის პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

police.ge

სანიოლი შვედეთით და ესპანეთით იწყებს

საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგ შესარჩევ ეტაპს იწყებს. მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციოს უმძიმესი შეხვედრით გავხსნით – 25 მარტს, შვედეთს ვსტუმრობთ და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ნაკრებში ზლატან იბრაჰიმოვიჩი დაბრუნდა, დაგვეთანხმებით, ისედაც ძლიერ მეტოქეს, ეს დამატებით უპირატესობას აძლევს. სამი დღის შემდეგ, 28 მარტს, თბილისში, „დინამო არენაზე“, ესპანეთს ვმასპინძლობთ. ამ შეხვედრას, დაახლოებით, 16 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრება და ტრიბუნებზე სამი-ოთხი ისეთი უცხოელიც იქნება, დედაქალაქში, ხვიჩა კვარაცხელიას ასპარეზობის სანახავად რომ ჩამოვა. „რუბინის“ ქართველი მარგალიტი უდიდესი ალბათობით, ზაფხულში რომელიმე ევროპულ გრანდში გადავა და სტუმრებიც სწორედ ევროგრანდების სკაუტები არიან. 31 მარტს კი, საბერძნეთთან გვაქვს გასვლითი მატჩი და ერთი შეხეწდვით ისე ჩანს, ამ სამ შეხვედრაში, ქულის აღებაც კი სანატრელი იქნება.

ნაკრებში დებიუტი ექნება ახალ მწვრთნელს. ვილი სანიოლმა ზუსტად იცოდა, სად მოდიოდა და ისიც იცოდა, რომ საწყისი სამი შეხვედრა ურთულესი იქნებოდა. მან სანაკრებოდ 25 ფეხბურთელი გამოიძახა, ღმერთმა ქნას, ახალმა მწვრთნელმა გაამართლოს და ერთკვირიან მონაკვეთში, ქართული ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცელი დაწეროს. სხვათა შორის, გულშემატკივართა გაოცება იმან გამოიწვია, რომ სანიოლმა ნაკრებში ვაკო გვილიას არ დაუძახა, თუმცა გასულ უქმეებზე, თორნიკე ოქრიაშვილმა ტრავმა მიიღო და ფრანგმა სპეციალისტმა, მის ნაცვლად, სწორედ გვილიას უხმო. რაც შეეხება ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი („ლოკომოტივი“ თბილისი), ლაზარე კუპატაძე („დინამო“ ბათუმი);

მცველები: გურამ კაშია („ლოკომოტივი“ თბილისი), ოთარ კაკაბაძე („ტენერიფე“, ესპანეთი), დავით ხოჭოლავა („შახტარი“, უკრაინა), გია გრიგალავა („არსენალი“, ტულა, რუსეთი), ჯიმი ტაბიძე („უფა“, რუსეთი), ლაშა დვალი („ფერენცვაროში“, უნგრეთი), გურამ გიორბელიძე („ვოლფსბერგერი“, ავსტრია), გრიგოლ ჩაბრაძე („დინამო“ ბათუმი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა („ვალენსიენი“, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია („კარტახენა“, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე („ანკარაგუჯუ“, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური („დინამო“ ბათუმი), ლაშა პარუნაშვილი („ესბიერგი“, დანია), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), ხვიჩა კვარაცხელია („რუბინი“, რუსეთი), ვაკო გვილია („ლეგია“, პოლონეთი), ლევან შენგელია („კონიასპორი“, თურქეთი);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია („ანორთოსისი“, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე („სერენი“, ბელგია), ბუდუ ზივზივაძე („ფეჰერვარი“, უნგრეთი), გიორგი ბერიძე („უიპეშტი“, უნგრეთი).

ქეცბაია „ანორთოსისს“ დაემშვიდობა

კვიპროსის ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურია დარჩენილი, მაგრამ უკვე გაირკვა, რომ სეზონის ბოლოს, „ანორთოსისის“ ქართველი მწვრთნელი, თემურ ქეცბაია თანამდებობას დატოვებს. ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია და ეს ორივე მხარის სურვილი გახლავთ.

როგორც უცხოური მედია წერს, ქეცბაიას გადაწყვეტილებაზე გავლენა, დიდწილად, ბერძნული „პაოკ“-ის სურვილმა იქონია. საბერძნეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, მთავარ მწვრთნელად სწორედ თემური სურს და კვიპროსიდან აბარგებული ქეცბაია, ბინას საბერძნეთში დაიდებს. შეგახსენებთ, რომ „ანორთოსისში“ ქართველმა სპეციალისტმა გიორგი ლორია, ბუბა დაუშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი და გიორგი ქვილითაია მიიყვანა. ოთხივე მათგანი, დღემდე, გუნდის გამორჩეული ფეხბურთელია.

რუსეთის ჩაგვრა გრძელდება

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთი კვლავ დაამარცხა – ამჯერად, კალინინგრადში. მატჩამდე, ქართველ გულშემატკივარს ერთგვარი შიში ჰქონდა, რადგან ჩვენი გუნდი დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა და ესპანეთთან შეხვედრამაც აჩვენა, რომ ბევრი პრობლემა იყო. რუსები კი საქართველოსთან მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ, თუმცა საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. „ბორჯღალოსნებმა“ წელს საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს და მატჩი პრემიალური ქულით – 23:6 მოიგეს.

„მეტოქე ჩვენზე ოდნავ ძლიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გუნდი ახლა ნამდვილად უკეთესია, ვიდრე ადრე, ქართველებმა ამჯერად დაცვაში ძალიან კარგად მოახერხეს თამაში. მეტოქეზე ზეწოლის შენარჩუნება გაგვიჭირდა, რომ ლელო დაგვედო. დღევანდელი წარუმატებლობის ერთ-ერთი საკვანძო მომენტი, ბურთის თამაშში შეყვანა იყო. მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ვიქტორ გრესევის გამოკლებამაც. საქართველოს წინააღმდეგ თამაში, როგორც წესი, ძალიან მჭიდრო და ხისტია. ქართველები თავის გეგმას მიჰყვებოდნენ, მათ კარგად გამოსდით დარტყმითი ტაქტიკით მუშაობა. ზოგჯერ თავდაცვა კარგად გამოგვდიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანობაში ეს ვერ მოვახერხეთ. ჩვენ უფრო თანაბარ თამაშს მოველოდით, მაგრამ არ გამოგვივიდა. ქართველები კერკეტი კაკლები არიან, მათ ადეკვატური წინააღმდეგობა უნდა გაუწიო. ჩევნ განვითარება უნდა განვაგრძოთ და გამარჯვებაც მოვა. ყველასათვის ნათელია, რომ საქართველო, ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე, მსოფლიოს თასზე გავა“, – ნამატჩევს, ეს განცხადება რუსთა თავკაცმა, ლინ ჯონსმა გააკეთა.

დოლიძე პირველად დამარცხდა

UFC-ს ქართველმა მებრძოლმა, რომან დოლიძემ პროფესიულ რინგზე მესამე შეხვედრა გამართა და პირველი მარცხი განიცადა. მისი მეტოქე, ამერიკელი ტრევინ ჯაილსი იყო და შეხვედრის შემდეგ, მან აღიარა, რომ მსაჯების გადაწყვეტილება საპირისპირო რომ ყოფილიყო, არ გაუკვირდებოდა. თანაბარ ორთაბრძოლაში, არბიტრებმა გამარჯვება ქულებით, სწორედ ამერიკელს მიანიჭეს.

„მნიშვნელოვანია, მსაჯები რას აქცევენ ყურადღებას, თუ მხედველობაში ზიანის მიყენება აქვთ, ვფიქრობ, მე გავიმარჯვე, თუმცა თუ კონტროლს ვგულისხმობთ, ამ კუთხით, მეტოქემ უკეთ იმოქმედა და გამარჯვება მას ეკუთვნოდა“, – განაცხადა ჯაილსმა.

მესიმ მორიგი რეკორდი დაამხო

ლიონელ მესი „ბარსელონაში“ 2005 წლიდან ასპარეზობს და ამ დროის განმავლობაში, მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი საკლუბო დონეზე შეიძლებოდა. გარდა ამისა, თამაშებისა თუ გოლების მხრივ, არგენტინელი კლუბის ისტორიას წერს და საუკეთესოთა შორის, საუკეთესო ხდება.

ამჯერად, მესიმ კლუბში შეხვედრების ოდენობით, ხავი ერნანდესს გადაასწრო. ხავის „ბარსას“ რიგებში 767 მატჩი ჰქონდა გამართული, მესიმ კი გასულ უქმეებზე 768-ე შეხვედრა ჩაატარა. იმასაც გეტყვით, რომ 768 შეხვედრიდან, არგენტინელმა 537 გამარჯვება იზეიმა, 91-ჯერ დამარცხდა და 140 ფრეს დასჯერდა, 663 გოლი გაიტანა და 291 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ახალი საფეხბურთო სკანდალი

ბათო ჯაფარიძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი, ტარიელ ხეჩიკაშვილი საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ ერთ-ერთი მეწილე და დამაარსებელიცაა. ერთ-ერთ მეწილეს პირობითად ვამბობთ, თორემ რეალურად, ყველამ იცის, გუნდს, სწორედ ხეჩიკაშვილი აფინანსებს და მისი დამსახურებაა, კლუბის საფეხბურთო აკადემია, არა მარტო საქართველოში, არამედ, ამიერკავკასიაში ერთ-ერთი წარმატებული რომ არის. 1999 წელს დაარსებულმა საფეხბურთო სკოლამ, საბოლოო ჯამში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში შექმნა გუნდი, უმაღლეს ლიგაშიც ასპარეზობს და თან როგორ – გუნდმა ბოლო სამ წელიწადში, საქართველოში მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა – ჩემპიონობა, თასი, სუპერთასი.

ვისგან ითხოვს უსამართლობაზე პასუხს „საბურთალოს“ მთავარი მწვრთნელი ლევან კორღალიძე და რატომ წყვეტს კლუბის დაფინანსებას ექსმინისტრი, ტარიელ ხეჩიკაშვილი

15 მარტს კი, ბატონი ტარიელი ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ ფეხბურთიდან მიდის და დაფინანსებას აღარ აპირებს. არადა, რეალურად, ქართულ ფეხბურთზე შეყვარებული ბიზნესმენები ძალიან ცოტაა და ამის ბრალიცაა, ქართულ ფეხბურთს არაფერი რომ არ ეშველა. აი, რა თქვა ბატონმა ტარიელმა:

„ძალიან მიჭირს იმის თქმა, რაც ახლა უნდა ვთქვა, რადგან ქართულ ფეხბურთს წლები უანგაროდ ვემსახურებოდით, მაგრამ ბევრი პრობლემა დაგროვდა და ვცდილობდით, ხმა ყველასთვის მიგვეწვდინა. ამ ნაბიჯამდე, აბსოლუტურმა იგნორმა და არაკომპეტენტურობამ მიმიყვანა. თანამშრომლობის ნაცვლად, ურთიერთპატივისცემის, ინვესტორისა და გუნდის, მწვრთნელის, ფეხბურთელების შრომის დაფასების პრობლემაა. ამ პირობებში გადავწყვიტე, პროფესიულ ფეხბურთში ინვესტიციები დროებით შევწყვიტო. ეს არ ნიშნავს, რომ „საბურთალო“ აღარ იარსებებს – იქ კიდევ არიან პარტნიორები, კომპეტენტური ხალხი. მეც ვერ შევძლებ, ფეხბურთის გარეშე ვიყო. სხვადასხვა ფორმატში, ჩემი კავშირებითა და სახსრებით სპორტის განვითარებას დავეხმარები, ასევე, საფეხბურთო აკადემიას, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები სწორ გზაზე დადგნენ. მე კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ, რადგან, სამწუხაროდ, ეს სისტემური პრობლემაა. მინდა, ჩემი თანადგომა გამოვხატო დღეს ფეხბურთში მყოფი ინვესტორების მიმართ და ჩემი სურვილი იქნება, მათ მეტი გულისხმიერებით მოექცნენ. ქართული ფეხბურთი მათ მხრებზე დგას. მზად ვარ, ნებისმიერ ფორმატში, პრობლემებზე ვისაუბროთ. სამწუხაროდ, უპატივცემულობა მივიღეთ ყველა დონეზე. იმედია, ქართულ ფეხბურთში, გულდაწყვეტილი ინვესტორების რიცხვი აღარ გაიზრდება“.

ახლა, რიგითობით მივყვეთ. ხეჩიკაშვილის განცხადებას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამა დასრულდა. ოთხი წლის განმავლობაში, თუ საფეხბურთო კლუბი მოიზიდავდა ინვესტორს და ჩაადებინებდა თანხას, ფეხბურთის განვითარების ფონდი იგივე ოდენობას უმატებდა ანუ თუ ვინმე საფეხბურთო კლუბში ჩადებდა მილიონს, დამატებით მილიონს მიიღებდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება „საბურთალოს“ ტიტულებიც. ახლა ეს პროგრამა დასრულებულია და მხოლოდ „საბურთალო“ კი არა, ყველა კლუბი უმძიმეს დღეშია – ინვესტორები, უბრალოდ, გავიდნენ და ფულს აღარ დებენ, რადგან ზუსტად იციან, ამ თანხებით შორს ვერ წავლენ. მეორე მიზეზი, რამაც ხეჩიკაშვილს ეს გადააწყვეტინა: 14 მარტს, დინამო-საბურთალოს შორის გამართულმა შეხვედრამ, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. გულშემატკივართა აზრით, მსაჯმა „საბურთალო“ აშკარად დაჩაგრა და „დინამომ“ სწორედ ამის ხარჯზე იმარჯვა ანგარიშით – 4:3.

„სტატუსების წერა არ მჩვევია, არაფერი, არასდროს არ დამიწერია, მაგრამ გუშინ რაც ცირკი დადგეს და კონკრეტულად კიკაჩეიშვილმა, არ შემეძლო, არ დამეწერა არაფერი. ბოდიშს გიხდით წინასწარ, თუ რამე ზედმეტი მომივა. უბრალოდ, მინდა მივმართო და ამას აუცილებლად მედიასთანაც დავაფიქსირებ, ასეთ უსამართლობაში და არათანაბარ ბრძოლაში, მე აღარ ვაპირებ გაჩერებას. არასდროს სხვისთვის არ დამიბრალებია წაგება ან რამე იმედგაცრუება, მაგრამ უკვე დროა, ხმა ამოვიღოთ.

მე მიმაჩნდა, შარშან „ლოკომოტივიდან“ რომ წამოვედი, ის გადაწყვეტილება, რაც კლუბმა მიიღო, ჩემთვის უსამართლო იყო, მაგრამ მეყო კაცობა და დავტოვე კლუბი მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემდი და დღესაც ვცემ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას, თუმცა ჩემი პრინციპი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგება და დგას. ეს შემთხვევაა ახლაც, სადაც ჩემი პატიოსნება და პრინციპი შეილახა ვიღაც არაკომპეტენტური ტიპის (მას ვერაფერს დავარქმევ) გამო.

მთელი ჩემი ცხოვრება ფეხბურთს დავუთმე, არც ოჯახი ვიცი და არც მეგობარი, იმდენად ჩართული ვარ საქმეში და არავის არ მივცემ იმის უფლებას, ასე უსამართლოდ მომექცეს. თურმე, პატიოსნად შრომა არ არის საკმარისი, რათა რამეს მიაღწიო ან „დინამოს“ რაში სჭირდება ასეთი ჩემპიონობა და მოგება. ნამდვილად აღარ ვაპირებ გაჩუმებას, ჩავყვები ბოლომდე, სანამ სამართალს არ მივიღებ. მე ვინც მიცნობს, მთელი ჩემი ცხოვრება სამართლიანად მიმყავს და ყალბი არასდროს, არაფერში ვყოფილვარ – არც საქმეში და არც მეგობრობაში. აღარც ახლა ვაპირებ, ვინმემ შელახოს ჩემი პატიოსნება, რომელიც გუშინ ნამდვილად შეილახა, ვიღაცა მიკერძოებული ადამიანის გამო.

პასუხს ვითხოვ და ძალიან გთხოვთ, გამეცით იმ ადამიანებმა, ვისაც გეკუთვნით და ძალიან კარგად იცის, ვის ეკუთვნის. შარშან, „ბათუმის“ პრეზიდენტი, ბატონი აჩიკო ბერიძე აპირებდა ზუსტად ამ ადამიანის გამო ფეხბურთიდან წასვლას, რომელიც ამხელა ინვესტიციებს, შრომასა და ნერვებს დებს ამ საქმეში და მაინც ეს პატარა ბავშვი, მსაჯს ვგულისხმობ, ასე უტიფრად აგრძელებს თავის „მოღვაწეობას“. ზუსტად ეგ განცდა მაქვს ახლა, რომ უსამართლობის მსხვერპლი ვარ და ვართ, ამ შემთხვევაში, „საბურთალო“. ასე წინ ვერ წავა ვერც ქართული ფეხბურთი და ვერც ინდივიდუალურად განვითარდებით, ვერც მწვრთნელები და ვერც ფეხბურთში მოღვაწე, ნებისმიერი ადამიანი.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, სირაქლემას პოზაში ყოფნას არ ვაპირებ! მადლობა და ბოდიშს გიხდით, თუ ზედმეტად გულახდილი ვიყავი“, – ეს განცხადება ხეჩიკაშვილის გამოსვლამდე, „საბურთალოს“ მთავარმა მწვრთნელმა, ლევან კორღალიძემ გააკეთა ანუ მანაც დააფიქსირა, რომ ფარსში მონაწილეობა აღარ სურს და „ვიღაცეების“ გამო, კლუბები უსამართლოდ იჩაგრებიან.

სიმართლე გითხრათ, ცოტა ძნელი წარმოსადგენია „საბურთალოს“ დაჩაგვრა (თუმცა, „დინამოსთან“ მატჩში, კითხვები აშკარად იყო). ძნელი წარმოსადგენი კი იმიტომ, რომ კლუბის ერთ-ერთი მეწილე, ტარიელ ხეჩიკაშვილთან ერთად, კახა ჭუმბურიძეც გახლავთ. ბატონი კახა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტია. „საბურთალოს“ მეწილეა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, გიორგი ნემსაძეც, რომელიც ამჟამად... თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გახლავთ. და ამ ყველაფრის მიუხედავად, „დინამოსთან“ შეხვედრამ იმდენი კითხვა გააჩინა, რომ წასვლას აპირებს კლუბის პრეზიდენტი, მთავარი მწვრთნელი...

ჩვენ ბატონი ტარიელის გარემოცვას შევეხმიანეთ და მათ დაგვიდასტურეს, რომ ხეჩიკაშვილი ძალიან გაბრაზებულია. მისი ეს განცხადება უფრო ემოციური ფონით იყო ნაკარნახევი, თუმცა მისი მეგობრები არ გამორიცხავენ, რომ ხეჩიკაშვილმა მთავარი გუნდის დაფინანსება მართლაც შეწყვიტოს, სამაგიეროდ, მთავარი აქცენტი აკადემიასა და ახალი ფეხბურთელების აღზრდაზე გააკეთოს. შესაბამისად, თუ წასვლაა, ხეჩიკაშვილი მთავარი კლუბიდან წავა და არა მთლიანად აკადემიიდან, რომელიც ვიმეორებთ, არა მარტო საქართველოში, არამედ, ამიერკავკასიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ოთარ ჭილაძე



20 მარტს, გენიალური ქართველი პოეტის, ოთარ ჭილაძის დაბადების დღე იყო – მას 88 წელი შეუსრულდებოდა.

აი, გავიდა ეს წელიწადიც...

აი, გავიდა ეს წელიწადიც
და ამჟამადაც დავრჩი უცვლელი:
კვლავ იმას ვიცავ, რასაც ვიცავდი,
კვლავ თავგზას მიბნევს სუფთა ფურცელი.
თუმცა ასეა, ასეა ყველა,
ვისაც ჯერ გული ხალისით უცემს.
მე მომემატა დღეს ერთი წელი
და ამდენივე მომაკლდა უცებ.
გარეთ კი ხმელი ფოთოლი ცვივა
და უფრო ადრე ბნელდება... (ბნელა).
ასე მგონია, შენსავით ცივად,
შენსავით მკაცრად მიმიღებს ყველა.
გწყალობდეს ღმერთი, ვით დღემდე გწყალობს.
ზედმეტს და უხამსს არაფერს გკადრებ.
მე ახლა შენგან სიძულვილს ვსწავლობ,
როგორც სიყვარულს ვსწავლობდი ადრე.
ასეა, თუკი რაღაცას ელი,
თუ იმ რაღაცას იმედით უცქერ...
მე მომემატა დღეს ერთი წელი
და იმდენივე მომაკლდა უცებ.

ალბათ, ყველაფერს მოედო ხავსი...

ალბათ, ყველაფერს მოედო ხავსი
და ალბათ, უკვე ველარც იხარებს:
ეზო, რომელიც ძილშიღა გვახსოვს,
სახლი, რომელიც გადავიყვარეთ.
სამაგიეროდ... სამაგიეროდ,
ქვეყნის ტალახი გვათოვს და გვაწვიმს...
შენ დაიფარე, ღმერთო, ძლიერო,
საკუთარ ფესვებს მომწყდარი კაცი.

ამ სახლში ისევ უკრავენ შოპენს...

ამ სახლში ისევ უკრავენ შოპენს
და მავთულები ნაცრისფერ ცაში
იჭიმებიან და თითქოს გრძნობენ
რაღაცას, დღემდე უცნობს და საშიშს,
სახლში ცხოვრობენ, შრომობენ, უყვართ
და ნებდებიან საყვარელ ხელებს
და ახარჯავენ ერთმანეთს უხვად
მას, რაც ისედაც გაქრება მერე.
და სურვილებიც ჩნდებიან ისევ
და ძველ სურვილებს აგლეჯენ ღვედებს,
და აღარ თვლიან სიცოცხლის ღირსად
და სულის მაღალ კედელებთან ხვრეტენ.
მაგრამ ზამთარში ღამდება ადრე
და ღამე შუბლით აწვება კარებს,
გარეთ კი ამტვრევს პროტესტის ჭადრებს
იანვრის ქარი... და ცივა გარეთ.
და მავთულებიც რაღაცას გრძნობენ,
რაღაცას, დღემდე უცნობს და საშიშს,
და ნუგეშივით უსმენენ შოპენს,
დაჭიმულები ნაცრისფერ ცაში.

აღსასრულისკენ სამყარო მიქრის...

აღსასრულისკენ სამყარო მიქრის,
ვით პატრონმკვდარი ველზე ქურანი...
ღმერთო, მასწავლე მოთოკვა ფიქრის,
ანდა წამართვი ფიქრის უნარი.
ფიქრისგან ფიქრი ჩნდება, ჭავლივით.
არ წყდება მტანჯველ ფიქრთა ნაკადი,
თითქოს ათასჯერ უკვე ჩავლილი
და ვერჩავლილი მაინც აქამდის.
გზა კი იგივე რჩება მიზნამდი
და ახლა გულშიც ვერ მითქვამს შიშით:
ფიქრი მაწრთობდა ცხოვრებისათვის,
თუ დავემალე ცხოვრებას ფიქრში...

ბავშვობა ერთი ბოლოა თოკის...

ბავშვობა ერთი ბოლოა თოკის
და თვითონ უნდა მიაბა იგი მიწას,
რომელზეც გინდა რომ მოკვდე,
როდესაც მოვა სიკვდილის რიგი.
საქმე ისაა, როგორ მიაბამ,
როგორ გამოთვლი გასავლელ მანძილს,
რომ არ შეფასდეს მერე იაფად
შენივე ხელით შეკრული კვანძი.
როგორ მივაბი, არ მახსოვს კარგად,
მაგრამ ის თოკი გრძელდება დღემდე
და ჯერ არაფრის იმედს არ ვკარგავ,
ამდენი ქარის და წვიმის შემდეგ.
ამდენი ქარის და წვიმის შემდეგ,
თავისით გაქრა ბევრი სურვილი,
ბევრჯერ შევასკდი გულსა და კედლებს,
უმისამართოდ ნასროლ ჭურვივით.
სამაგიეროდ, მეც განმიცდია,
რასაც განიცდის ყველა მოკვდავი,
როცა შემოდს სულში მინდია -
ყველაფრის მცოდნე და საცოდავი.
და ვიცი, რატომ უნდა მიყვარდეს
ჩემი მტანჯველი და ძნელი გზები,
რომლებიც ალბათ იქ მიმიყვანენ,
სადაც ჩემამდე მისულან სხვებიც.
მაგრამ თუ მეყო დროც და მანძილიც
და მოვუნახე სულს სასთუმალი -
მოვკვდები, როგორც ქვეყნის ნაწილი
და არა – წუთისოფლის სტუმარი.

განშორებამდე

დრომ გაიარა, ვით შავმა კატამ
ბნელ დერეფანში (უხმოდ და უცებ).
და ზამთრის სახე, მკაცრი და სადა,
მოშორდა ფანჯრებს.
მაგრამ ამ ფურცელს
მარადიული შეკრავს ყინული,
ხოლო ყინულზე აირეკლება
ჩვენგან ცხადში თუ სიზმრად ხილული,
რომ გახსენების მწარე ეკლებმა
გამოაფხიზლონ სულის თვალები -
გაოგნებულნი ერთფეროვნებით
და ხელოვნური მზის ბრწყინვალებით
და ნაქურდალი ცით და ცხოვრებით.
ბრწყინავს ლოლუა, ვით ზამთრის კბილი
ამონასუნთქი კაცის და მილის,
ახლახან დაკლულ მხეცივით თბილი,
ფართხალებს ქარში.
და აი, თითქოს ასი წლის მერე,
უკვე გადაღლილ ხმებსა და ფერებს
ვთხოვ, დამიბრუნონ ყველა უფლება,
რომ დავიწყების შავმა ღრუბლებმა
არ გადაგვთვალონ...
მომეცი ხელი,
ჩვეულებრივად სუსტი და ცხელი,
ჩვეულებრივად ცხელი და მკაცრი
მომეცი გული!
და სანამ გვაცლის
ღმერთი თუ ბედი, გვჯეროდეს ისევ,
რომ ჩვენს საფიქრალს ქვეყანა ისმენს,
ჩვენი თავები მკერდზე უწყვია
და ცდილობს, მაგრამ არ შეუძლია,
რომ გარდაიქმნას...

წყარო: litklubi.ge

უხილავი მტერი, რომელიც ბავშვის ორგანიზმს აზიანებს

პედიატრი ივანე ჩხაიძე, ბავშვების ტყვიით მოწამვლის საფრთხზე საუბრობს და აცხადებს, რომ თანამედროვე სამყაროში, უხილავი მტერი, სწორედ ტყვიაა, რომელიც ბავშვის ორგანიზმს უდიდეს ზიანს აყენებს:

„უხილავი მტერი, სწორედ ტყვიაა, რომელსაც ვერავინ ხედავს, არავინ იცის, სად არის. ეს არის მტერი, რომელიც წლების განმავლობაში, მეთოდურად აზიანებს ბავშვის ორგანიზმს. პედიატრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ზემოქმედება თავის ტვინზე. ის მოქმედებს თავის ტვინზე, რითაც აფერხებს ბავშვის განვითარებას. ის ზემოქმედებს სისხლზე და იწვევს ანემიას. ბავშვი გვიან იწყებს წინადადებებით საუბარს, არ შეუძლია ბაღში ან სკოლაში ლექსის დასწავლა, სკოლაში პრობლემები აქვს მათემატიკასა და ლიტერატურაში. ნიშნები შესამჩნევი ხდება მოგვიანებით, როდესაც ტყვიის ზემოქმედება თვეებისა და წლების განმავლობაში გრძელდება“.

„ტყვია ზემოქმედებს სისხლზე, იწვევს ანემიას, ბავშვი გვიან იწყებს წინადადებებით საუბარს“, – პედიატრის პრაქტიკული რჩევები

ივანე ჩხაიძის თქმით, ბავშვის ორგანიზმში ტყვიის ჭარბი შემცველობა, ორიდან შვიდ წლამდე ასაკში უნდა დადგინდეს, რადგან შემდეგ, ბავშვს ვერაფრით დავეხმარებით:

„ითვლება, რომ ტყვია ადამიანის ორგანიზმში საერთოდ არ უნდა იყოს, ნული უნდა იყოს მისი შემცველობა. ამერიკის პედიატრთა ასოციაციის მიხედვით, ხუთამდე ტყვიის შემცველობა მისაღები მაჩვენებელია. ხუთის ზემოთ უკვე იწყება შემოწმება.

რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით მეტ პრობლემას გვიქმნის ბავშვის ორგანიზმში. ჩვენ გამოყოფილი გვაქვს ორიდან შვიდ წლამდე ასაკი, როდესაც შეგიძლიათ ნახოთ, შემდეგ უკვე დაგვიანებულია. შვიდი წლის შემდეგ, თქვენ ბავშვს ვერაფერს უშველით. ბავშვი გონებრივი განვითარების მხრივ ჩამორჩება, შემდეგ კი ეს პროცესი შეუქცევადი გახდება“.

ივანე ჩხაიძე აღნიშნავს, რომ ბავშვებისთვის ძალიან დიდი საფრთხეა უხარისხო სათამაშოებით თამაში, ბიჟუტერიისა და კოსმეტიკის გამოყენება:

„ბავშვებში ძალიან გვეშინია სათამაშოების. შეღებილი, უხარისხო სათამაშოების პირში ჩადება გარკვეული ასაკის ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. თქვენ ამას ვერ ამჩნევთ, გიხარიათ, რომ ბავშვი თამაშობს, მაგრამ სათამაშო თუ დაფარულია უხარისხო საღებავით, ჩათვალეთ, რომ დღეების განმავლობაში, ბავშვი ჭამს ტყვიას. ყველა პროდუქტზე, რომელიც იღებება, ტყვიის შემცველობა უნდა იყოს აღნიშნული. გოგონებისთვის ერთ-ერთი დიდი რისკი, პარფიუმერული პროდუქტები და ბიჟუტერიაა, რომელსაც ყოველგვარი გარანტიის გარეშე, ქუჩაში ყიდულობთ.

გოგონებს ძალიან უყვართ გაპრანჭვა, განსაკუთრებით, ტუჩსაცხები. ეს ყველაფერი, ტყვიას შეიცავს და ამ გზითაც შეიძლება, რომ ბავშვის ორგანიზმში მოხვდეს.

ჩვენ გვაქვს სირაქლემას პოზიცია მეტყველებასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი დედა ამბობს: „მე ხუთი წლისამ დავიწყე ლაპარაკი, მამამისი ხუთი წლის ასაკში ალაპარაკდა“. ეს ძალიან ცუდია და რეალურად, ხელშემშლელია. როდესაც თქვენ ელოდებით, როდის დაიწყებს ლაპარაკს წლინახევრის ბავშვი, რომელიც ერთ სიტყვასაც ვერ ამბობს და თან იმასაც ამბობთ, რომ მამამისიც ასე იყო და ამ არგუმენტით, სამ წლამდე, ბავშვი ექიმთან არ მიგყავთ, შეცდომას უშვებთ“, – აცხადებს ივანე ჩხაიძე.

momsedu.ge

ქიმიოთერაპიის მავნე გავლენისგან ყურძენი დაგიცავთ

ყურძენს, უფრო სწორად, მის წიპწებს შეუძლია, მნიშვნელოვნად გაზარდოს ქიმიოთერაპიის ეფექტურობა ნაწლავების კიბოს დროს და ამავდროულად, ამ პროცედურის გვერდითი მოვლენებიც შეამციროს, – აცხადებენ სწავლულები. „საიდუმლო“ ამ ხილის წიპწებში არსებულ ანტიოქსიდანტებშია – მთრიმლავ ნივთიერებებსა და პოლიფენოლებში. მათ ანთებისა და კიბოს წინააღმდეგ, საკმაოდ ძლიერი თვისებები აქვთ. მეცნიერების განცხადებით, წიპწებისგან მიღებული ექსტრატის მოხმარება, ორგანიზმში – ანთების ხარისხს, ხოლო ნაწლავებში – იქ არსებულ დაზიანებას აქვეითებს.

ქიმიოთერაპიის დროს, პრეპარატები დაზიანებულ და ჯანმრთელ უჯრედებზე ერთნაირად მოქმედებენ და შედეგად, ჯანმრთელი უჯრედებიც ზიანდება. შესაბამისად, ქიმიოთერაპიასთან ერთად, ამ ექსტრატის მიღება შესანიშნავად იმუშავებს. ჩატარებული ექსპერიმენტებისას, ანთებითი პროცესის დაქვეითება 55%-ს აღწევდა, კიბოს უჯრედების ზრდის შეფერხება – 26%-ის დონეზე იყო.

სპეციალისტების განცხადებით, ყურძნის წიპწების ექსტრატის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ სიმსივნის ამ სახეობის შემთხვევაში, არამედ, ნაწლავების სხვა დაავადებების თერაპიის დროსაც. აღსანიშნავია, რომ მკვლევარებმა ექსპერიმენტებისას, ბაზარზე უკვე არსებული ექსტრატი გამოიყენეს.

დიაბეტი დაივიწყეთ!

ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულების ახალი ნამუშევრის წყალობით, უახლოეს პერიოდში, ადამიანებს აღარ ემახსოვრებათ, რა არის დიაბეტი. მეცნიერებმა შეძლეს გამოეყვანათ და გადანერგეს კუჭქვეშა კირკვლის უჯრედები, რომლებიც ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებენ. ეს უჯრედები გამოიმუშავებენ ინსულინს, მათი საფუძველი კი ემბრიონული ღეროვანი უჯრედები გახდა.

თუ ახალი უჯრედების უსაფრთხოება დამტკიცდება, მაშინ ტრანსპლანტაცია, პაციენტებს პირველი ტიპის დიაბეტის შემთხვევაში, ინსულინის ინექციებს ააშორებს. ამჟამად, მკვლევარებს კლინიკური ცდები არ დაუწყიათ, ჯერჯერობით, ტესტირება ცხოველებზე მიმდინარეობს. სწავლულები აცხადებენ, რომ უჯრედები ინსულინს რამდენიმე თვის განმავლობაში გამოიმუშავებენ.

მარათონელებმა საპონი ჭამეს

ჩინეთში, მარათონის მონაწილეებმა საპონი ჭამეს, რადგან ის ენერგეტიკული „ბატონჩიკი“ ეგონათ. გარბენი გუანდუნის პროვინციაში შედგა. შეჯიბრების მონაწილეებმა სასაჩუქრე პაკეტები მიიღეს, რომელშიც იყო საპონი, ყურძნის არომატით. სპორტსმენებს ის ენერგეტიკული ბატონი ეგონათ, რადგან ეტიკეტზე მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერა იყო და გემრიელად დაიწყეს ჭამა.

ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ საპნის შეფუთვა მართლაც ძალიან ჰგავდა საჭმელისას და ეს საკუთარ შეცდომად მიიჩნიეს. მარათონში 20 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მათგან სამედიცინო დახმარება 12 ათასზე მეტ მორბენალს დასჭირდა, ხოლო 23 მათგანი, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

წიგნებს მყიდველების თვალწინ ბეჭდავენ

პარიზში წიგნების მაღაზია გაიხსნა, რომელიც გამომცემლობა Presses Universitaires de France-ს ეკუთვნის. აქ შესვლისას, წიგნებით სავსე თაროებს ნადვილად ვერ აღმოაჩენთ – მხოლოდ იმ გამოცემის ყიდვას შეძლებთ, რომელსაც მაღაზიაში, საკუთარი სურვილით დაბეჭდავთ. დაწესებულებაში წიგნების საბეჭდი მანქანა-რობოტი დგას, რომელიც ამერიკულმა კორპორაცია Xerox-მა შექმნა. მაღაზიაში შესული კლიენტების განკარგულებაშია პლანშეტები, რომელთა დახმარებითაც, 5-ათასიანი წიგნის ფონდიდან, სასურველს ამოარჩევენ, რობოტი კი, რამდენიმე წუთში დაბეჭდავს. ბეჭდვის ერთი სეანსი 850 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს. ამ გზით შეძენილი წიგნი, ამავე მაღაზიაში არსებულ, უკვე დაბეჭდილ გამოცემასთან შედარებით, სულ რაღაც 1 ევროცენტით იქნება ძვირი, რადგან საფრანგეთში, წიგნებზე ერთიანი ფასი მოქმედებს. ამ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, დაწესებულება საკმაოდ დიდ თანხას დაზოგავს.

რატომ დააჯარიმეს ცნობილი ფეხბურთელი?

გერმანული კლუბის, „ბავარიის“ ფეხბურთელი, კინგსლი კომანი, კორპორატიული ეთიკის დარღვევის გამო, 50 ათასი ევროთი დააჯარიმეს – 24 წლის ფრანგი, კლუბის ბაზაზე, „აუდის“ ბრენდის სამსახურებრივი მანქანით კი არა, საკუთარი „მერსედესით“ მივიდა. ტიტულოვან მოთამაშეს დაცვამ არ მისცა ნება, მანქანა მიწისქვეშა პარკინგზე დაეყენებინა.

ფეხბურთელს, კონტრაქტში ჩაწერილი პუნქტების თანახმად, სოლიდური ჯარიმა გამოუწერეს. ცნობილია, რომ მიუნხენის „ბავარიის“ მოთამაშეებმა სამსახურებივი მანქანებით უნდა იარონ, რომელსაც მათ სპონსორი – Audi და VW Group აწვდის. კონტრაქტის ეს პუნქტი პირად ცხოვრებაზე არ ვრცელდება, შეზღუდვა მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებებს, საქმიან შეხვედრებსა და ვარჯიშებს ეხება.

პენსიონერი რეკორდსმენი გახდა

პენსიონერი გერმანიიდან, ვოლფგანგ კირში, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც 70 წელს გადაცილებული, ყველაზე ტატუირებული ადამიანი მსოფლიოში. მისი სხეულის 98% ნახატებითაა დაფარული, ტატუ მხოლოდ ტერფებზე არ აქვს. კირში, მეტსახელად „მაგნეტო“, 86 ტატუს, 17 პირსინგსა და სხვა იმპლანტებს ითვლის. გარდა ამისა, ასაკოვანმა მამაკაცმა თვალის ფერიც შეიცვალა – ეს განსაკუთრებით საშიში ოპერაციაა, რომელიც ადამიანს, შესაძლოა, მხედველობის დაკარგვადაც კი დაუჯდეს. ტატუსა და სხეულის მოდიფიკაციაზე, კირშმა 25 ათასი ევრო დახარჯა. სხეულის ნახატებით დაფარვის აბსოლუტური რეკორდი 38 წლის ბრაზილიელს ეკუთვნის – მას 1000 ტატუ აქვს, რომელიც მისი სხეულის 99%-ს ფარავს.

Gucci-ის ფეხსაცმელი 12 დოლარად

იტალიურმა მოდის სახლმა Gucci-მ, პირველი ციფრული, სპორტული ფეხსაცმელი გამოუშვა. ბოტასების ყიდვა და მორგება მხოლოდ სპეციალურ აპლიკაციაშია შესაძლებელი. ციფრული ფეხსაცმელი ბელორუსულ კომპანია Wanna-თან თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა, რომელიც დამატებითი რეალობის გამოყენებით, აპლიკაციების შექმნითაა დაკავებული. ახალი ბოტასის შესაძენად, Gucci-ის ან Wanna Kicks-ის აპლიკაციაში შესვლა და სასურველი დიზაინის არჩევაა საჭირო. იტალიურ აპლიკაციაში, ეს ფეხსაცმელი 12 დოლარი ღირს, ბელორუსულ აპლიკაციაში – 9 დოლარად შეიძენთ. პროგრამების ალგორითმი, კადრში ფეხის ადგილმდებარეობას დაადგენს და შემდეგ, ციფრულ ფეხსაცმელს „დახატავს“.

მეხსიერება შამპანურით გაიუმჯობესეთ

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან, მეხსიერების შენარჩუნების ყველაზე სასიამოვნო მეთოდს მიაკვლიეს. რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებმა დაადასტურა, რომ მცირე რაოდენობით შამპანურის მიღება, ტვინის იმ უჯრედებს ააქტიურებს, რომლებიც ახალი ინფორმაციის მიღებასა და ძველის შენახვაზე არიან პასუხისმგებელნი. აქედან გამომდინარე, თუ კვირში ერთხელ, ერთ ბოკალ შუშხუნა ღვინოს მიირთმევთ, ცინცხალ გონებას შეინარჩუნებთ.

ადრე სწავლულებს მიაჩნდათ, რომ ასეთი დადებითი თვისება მხოლოდ წითელ ღვინოს ჰქონდა, რადგან ის, დიდი რაოდენობის ფლავანოიდებს შეიცავს. მართალია, შამპანური და სხვა ცქრიალა ღვინოები მსგავს ნივთიერებებს არ შეიცავენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეხსიერებაზე მაინც საკმაოდ დადებით გავლენას ახდენენ. ამ გავლენას კი მკვლევარები სასმელში ფენოლებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების არსებობას უკავშირებენ.

სიმსუქნეს ქრონიკული ანთება იწვევს

იაპონელმა სწავლულებმა ტოკუსიმას უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ მკვდარი ცხიმოვანი უჯრედებიდან, დნმ-ს სიმსუქნის გამოწვევა შეუძლია. მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და აჩვენეს, რომ ქსოვილების ქრონიკული ანთება ზედმეტი კილოგრამების გაჩენას იწვევს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ამ შემთხვევაში, „დამნაშავეა“ ცილა TLR9, რომელიც თანდაყოლილი იმუნიტეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

სიმსუქნე ანტებითი პროცესების მანიშნებელია, რომელიც ისეთ დაავადებას იწვევს, როგორიცაა მდგრადობა ინსულინის მიმართ. ასეთი პროცესების მექანიზმები, დიდწილად, ჯერ ისევ გაურკვეველია, თუმცა ახალ კვლევაში, სწავლულებმა აჩვენეს, რომ დნმ-ის გამოყოფას ცხიმოვანი უჯრედებიდან – ადიპოციტებიდან, ანთების გამოწვევა შეუძლია.

პირბადიდან ყვავილები ამოდის



გასოცარი იდეა შემოგვთავაზა და მისი რეალიზება უკვე მოახერხა კიდეც დიზაინერმა ნიდერლანდებიდან, მარიანა დო გროოტმა. მან ბიოხრწნადი დამცავი პირბადე შექმნა, საიდანაც შემდგომში, ყვავილები ამოვა. ნიღაბი, ყვავილების თესლებისთვის, ერთგვარი კონტეინერია. ქსოვილი ბრინჯის ფქვილის, წყლისა და ნატურალური სახამებლისგან დამზადდა, ხოლო მის ფენებს შორის, დიზაინერმა მცენარეების თესლები მოათავსა.

„როდესაც პირბადე უკვე გამოუსადგარი გახდება, შეგიძლიათ, ის დაასველოთ და მიწაში ჩაფლათ. ცოტა ხანში, მისგან ყვავილები აღმოცენდება“, – ამბობს მარიანა. ამის გაკეთება ყველას შეუძლია, სოფლად – ბაღში თუ ქალაქში – აივანზე, ან ოთახში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მედიკოსები დარწმუნებულები არ არიან, რამდენად ვარგისია ეს პირბადე კორონავირუსისგან დასაცავად. სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ ბრინჯის ფურცელი, როგორც ინდივიდუალური დაცვის საშუალება, ჯერ არავის დაუტესტავს.

ენდოსკოპიას კამერა-აბი ჩაანაცვლებს

ბრიტანელმა სპეციალისტებმა შექმნეს კაფსულის ზომის კამერა, რომელიც მომავალში, სრულად ჩაანაცვლებს ეერთ-ერთ ყველაზე უსიამოვნო გამოკვლევას – ენდოსკოპიას. ცნობილია, რომ ეს პროცედურა გულისხმობს კუჭ-ნაწლავის კვლევას, რომლის დროსაც, ორგანიზმში, პირის ღრუდან კამერა შეჰყავთ, რაც ძალიან უსიამოვნო პროცედრურაა. ინოვაციური კამერა კი წამლის კაფსულის ზომისაა და მისი ჩაყლაპვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

ინოვაციური კამერა მსხვილი ნაწლავის კიბოსთან საბრძოლველად შეიქმნა, თუმცა მას, კუწ-ნაწლავის ტრაქტის სხვა დაავადებების აღმოაჩენაც შეუძლია. ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ, კამერა ფოტოებს იღებს, რაც მედიკოსებს საშუალებას აძლევს, დააკვირდნენ შესაძლო პათოლოგიურ პროცესებს. კაფსულის ჩაყლაპვიდან 5 საათში, ექიმებს პაციენტის კუჭ-ნაწლავის 400 ათასამდე ფოტოს ნახვა შეუძლიათ.

ექსპერიმენტისთვის, ეს ინოვაციური აბი-კამერა, ბრიტანეთში, 11 ათას პაციენტს გადაუგზავნეს. თუ ახალი ტექნოლოგია გაამართლებს, ეს სრულიად ახალი სიტყვა იქნება მედიცინაში. კაფსულა-კამერა ჩაანაცვლებს ენდოსკოპიას, კოლონოსკოპიას, რენტგენოგრაფიას და კუჭ-ნაწლავის დაავადებების სხვა სადიაგნოსტიკო საშუალებებს.

იდეალური სელფის კურსები შექმნეს



სუსტი სქესის ვიეტნამელი წარმომადგენლები, რომლებიც სოციალური ქსელებით სარგებლობენ, იდეალური სელფის გადასაღებად, სპეციალურ კურსებს გადიან – სწავლობენ, როგორ გაიღიმონ, სად წაიღონ ხელები, საით გაიხედონ და სხვა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მოსახლეობის 70%, 35 წელზე ახალგაზრდაა და სელფის კურსებიც, ძირითადად, ახალგაზრდა ვიეტნამელებს იზიდავს.

კურსების წამყვანია, პემ კიუ ლი, რომელსაც სოციალურ ქსელში ათასობით გამომწერი ჰყავს. მათი უმრავლეობა კიუ ლის სთხოვდა, ესწავლებინა, როგორ გადაეღო ლამაზი სელფი. ლის კურსებზე სწავლა 130 დოლარი ღირს და ის, სულ რაღაც, დღენახევარი გრძელდება. სტუდენტები თითქმის ყველა პროფესიის წარმომადგენლები არიან – ბროკერებიდან დაწყებული, ინტერნეტ-მაღაზიების თანამშრომლებით დამთავრებული. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ საუკეთესო სელფით, საკუთარ პროდუქციას უკეთ გაყიდიან Facebook-ზე, რომელსაც ქვეყანაში 35 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

საკვებს ჰაერიდან იღებენ

ჰაერიდან მიღებული შნიცელი, ფინელი სწავლულების დამსახურებაა. სტარტაპ Solar Foods-ის მონაწილეების გამოგონებაში, საკვების მთავარი ინგრედიენტი ყვითელი ფქვილია, რომელიც 65%-ით, ცილა Solein-ს შეიცავს. ფქვილი სპეციალურ ბიორეაქტორში მიიღეს, რომელშიც თხევად მიკროორგანიზებს აქუცმაცებენ: ფერმენტერში ამატებენ წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის ნაერთს, რის შემდეგაც, საკვები ნივთიერებები გამოიყოფა. მას აშრობენ და ფქვილად აქცევენ.

სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ მომავალში, ამ ტექნოლოგიით მიღებული პროდუქტებით, პლანეტის ყველა მცხოვრების უზრუნველყოფას შეძლებენ. ამასთან, მისი წარმოება ეკოლოგიურიც არის, რადგან ცილა Solein-ის წარმოებისთვის, „მწვანე ამიაკს“ იყენებენ. როგორც ენერგიის წყარო, ის 9-ჯერ მძლავრია ლითიუმ-იონურ ბატარეებზე და მისი გამოყენებისას, ნახშირბადი საერთოდ არ გამოიყოფა.

საწოლი ძილს არ დაგაცდით

ინგლისელმა ენთუზიასტმა გამომგონებელმა, კოლინ ფარზმა კიდევ ერთხელ გააოცა მსოფლიო თავისი ახალი ქმნილებით – მას შეგვიძლია, ერთდროულად, ბრწყინვალეც და გიჟურიც ვუწოდოთ. ეს გამოგონება საწოლია, რომელიც ადგომისას, ვერ „მოითმენს“ ვერავითარ „ცოტა ხანს“, ან „კიდევ ხუთ წუთს“ და პატრონს ძირს ჩამოაგდებს. ასეთი საწოლი შეუცვლელია მათთვის, რომლებსაც დილაობით, ვერანაირი მაღვიძარა ვერ აღვიძებთ.

საწოლი უბრალოდ, იატაკზე დააგდებს ძილისგუდას, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე და კვლავ დაწოლის საშუალებას არ მისცემს, თანაც მას, რამდენიმე რეჟიმი აქვს. მათ შორის, ყველაზე „რბილია“, როდესაც ძილისგუდა ადამიანი, უბრალოდ, საწოლიდან იატაკზე ჩამოსრიალდება. ყველაზე „მკაცრია“ რეჟიმი, როდესაც ძილის შებრუნების მსურველს, საწოლი პირდაპირ „გაისვრის“, ძლიერი ხმაურისა და ავტომობილის სირენის გუგუნის თანხლებით.

ესპანეთი ოთხდღიან სამუშაო კვირაზე გადადის

ესპანეთის მთავრობა საპილოტე პროექტს იწყებს – ქვეყანაში ოთხკვირიან სამუშაო დღეს იმ კომპანიებში დატესტავენ, რომლებიც ამით დაინტერესებულნი არიან. ინიციატივის ავტორია მემარცხენე პარტია Más País-ის წევრი. ამ ექსპერიმენტულ პროექტში, 200-მდე ორგანიზაცია ჩაერთვება. ცნობილია, რომ პროექტი სამ წელზეა გათვლილი, მისი ღირებულება კი 50 მილიონი ევროა.

პირველ წელს, ექსპერიმენტში მონაწილე კომპანიებს, 100%-ით აუნაზღაურდებათ სამუშაო საათების შემცირებით გამოწვეული ზარალი, მეორე წელს – 50%-ით, მესამე წელს კი – 33%-ით. ექსპერტების მოსაზრებით, ოთხდღიანი სამუშაო კვირა, დასაქმებულთა მენტალურ ჯანმრთელობას საგრძნობლად გააუმჯობესებს და სტრესსაც შეამცირებს. გარდა ამისა, შემცირებული სამუშაო დღეები ადამიანებს დაეხმარება, უფრო მოტივირებულები და პროდუქტიულები გახდნენ.

თინა ტერნერი „პენსიაზე გავიდა“



ლეგენდარული ამერიკელი მომღერალი, „როკ-ენ-როლის დედოფალი“, თინა ტერნერი „პენსიაზე გადის“. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი, საკუთარ თაყვანისმცემლებს HBO-ს დოკუმენტური ფილმით დაემშვიდობა, რომელიც მის ცხოვრებაზე გვიამბობს. 81 წლის ვარსკვლავს დასვენება სურს იმ ზედმეტი ყურადღებისგან, რომელსაც მისი პერსონის მიმართ იჩენენ.

ტერნერი ამბობს, რომ უნდა, დარჩენილი ცხოვრება მაყურებლებისა და კამერებისგან შორს გაატაროს. ფილმში მომღერალი აღიარებს, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო პირველ ქმართან, აიკ ტერნერთან, რის გამოც, მას მწვავე პოსტტრავმული აშლილობა განუვითარდა. ბოლო წლებში, „გრემის“ რვა პრემიის მფლობელის ჯანმრთელობა სერიოზულად გართულდა. 2013 წელს, თინას ინსულტის დიაგნოზი დაუსვეს, 2016-ში კი – ნაწლავის კიბო დაუდგინდა. თუმცა მომღერალმა ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ, თავდაპირველად, ჰომეოპათებს მიმართა. ამის გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუმძიმდა, საქმე თირკმელის უკმარისობამდე მივიდა და 2017 წელს, ტერნერს თირკმელი გადაუნერგეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.